



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A R S

1933—N° 87

მარტი  
1933 წ.  
N° 87

# დავით აღმაშენებლის საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ე ლ ი ტ ი კ უ რ ე ბ ა მ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო

## მ ი ნ ა ა ტ ხ ი :

მეთაური—ლიკვიდაციის წინ.  
გენო—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.  
ვაგ. ლიპინსკი—პოლონეთის განმ. ბრძ. ისტორ.  
ალკა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.  
ინგლისურად «ქართველი ერის ისტორია».  
საქართველოს საკითხის ვარაუდები.  
გრ. ლუბაძე—მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე.

მ.—ანი—მარტი.  
ჩრდილო-კავკასიელთა შორის.  
უკრაინელთა შორის.  
X—წერილი ამერიკიდან.  
რას სწერენ ბოლშევიკებზე.  
ხარბინის ქართველთა შორის.  
N—ქართველთა კოლონიაში და სხ.

## ლ ი კ ვ ი ლ ა ც ი ი ს წ ი ნ

მთელი 15 წელიწადი ებრძვის კაცობრიობა დიდი ომის გამანადგურებელ შედეგებს. კონფერენცია კონფერენციას სცვლის, რეჟიმი-რეჟიმს, და სტაბილიზაციის მაგიერ საერთო ვითარება ისე აირია, აიწეწა, რომ ლამის მეორე დიდ ომს მიაშველონ თავის სახსნელათ! გახსოვთ, ბალკანეთის ომში გამარჯვებულნი როგორ დაეტყველნენ ერთმანეთს საერთო ნადავლის გაყოფის დროს! ასევე, ვერსალის ზავი დღეს არავის აკმაყოფილებს, არა თუ დამარცხებულთ, გამარჯვებულთაც.

ამის შედეგია, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო გადატრიალება გერმანიაში, ვაიმარის დამარცხება პოტსდამით. განა ვაიმარიც არ შერიგებია ვერსალს, იძულებით მიაწერინეს ხელი ზავზედ, და ცდილობდა მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით მის შესწორებას, რასაც თანდათან, მოთმინებით კიდევ აღწევდა. გამოეპარათ მხოლოდ ხალხში დაგუბებული მრისხანება, გაათყვეცილებული გაუგონარი უმუშევრობით, საშუალო კლასთა ჩამოქვეითებით, წვრილთა მთლათ გამოგანებით.

ჰიტლერის მიც სწორეთ ამ მრისხანების, გამწარების, სასოწარკვეთილების ნიადაგზედ აღმოცენდა. რა თქმა უნდა, ამ მოძრაობის იდეოლოგია სიტყვიერება სხვას შეიცავს, როგორც: სამშობლო, ეროვნული ღირსება, მესამე იმპერია...

რაა მესამე იმპერია?... კოკონცოლერთა რესტავრაცია? არა, ჰიტლერი თითქო სხვას გულისხმობს,

სახალხო იმპერიას, რაცა თავის თავთ უზარობა. ამბობენ იმასაც, რომ მას უნდა აღადგინოს წმინდა რომის გერმანული იმპერიაო, და ამის გამართლებას ხელეფნ შევობობაში დუჩესთან, რომელიც ისედაც ცდილობს თვით დედანი, დიდი რომი აღადგინოს.

მეორეს მხრით, ჰიტლერის ერთმა იდეოლოგმა გამოამყდავანა, რატომ იჩემებს ის ორმაგ სახელს: მიუხეხნის ერთმა მუშამ ჩააგონა ჰიტლერს, [როცა ის კიდევ სამიტინგო ორატორი იყო, შენს დროშაზედ ნაციონალიზმის გვერდით სოციალიზმი დააწერეო. მუსოლინიც ხომ სოციალისტი იყო, და დღესაც არისო, ამბობენ მისი მეგობრები. ფაშინში იშვა ბოლშევიზმის შიშით, ეს ყველამ იცის, რა განდა შემდეგ, ესეც ვიცით.

მაშასადამე, ერთის მხრით პლებეური წარმოშობა, მეორე მხრით, ცდა ქარი გამოაცალოს სოციალიზმის იალქანს—როგორც გერმანელნი იტყვიან—არ რამ ჩაებრა სული ჰიტლერისმს, რამ აქცია ის უძლველ სტიქიად, გამარჯვებინა ზედი ზედ არჩევნებში. აი მიზეზიც, რატომ უცხადებდა ჰიტლერი ომს მდიდრებს, ბანკირებს... გამარჯვებამდე. ენლა კი ვხედავთ, ვინაა მსხვერპლი.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბრძოლის პროცესში ვართ, დიდი ამბები წინაა, არ გვირდა ვიწინასწარმეტყველოთ, და ეს არც შედიოდა ჩვენს თემაში. საყურადღებოა ჩვენთვის გერმანიის ეს საეპოქო დულია, გარდაქმნა, სახალი ლოზუნგებით გამოხვლა,

რომლის წინაშე ძრწის მთელი ევროპა. არც ესაა გასაკვირი, თუ მიიღებთ მხედველობაში გერმანიის გეოგრაფიულ მდგომარეობას, მის 66 მილიონ მოსახლეს, ტექნიკას, ორგანიზატორულ უნარს, ერთი სიტყვით—ამ უძლიერეს ერის კულტურას.

და განა შეიძლებოდა ამ კოლოსალურ—ვხმარობთ ისევ გერმანელთა საყვარელ სიტყვას—მოვლენის უგაველენოთ დარჩენა მთელი ევროპის, მსოფლიოს გასწვრივ? არა, რა თქმა უნდა. ჰიტლერი თავის მოძრაობას, მუსოლინის მიბაძვით, რევოლუციას ეძახის, მას ეჯავრება სიტყვა კონტრ-რევოლუცია. მაკდონალდი—ესეც მეორე დიდი ყოფილი სოციალისტი, არა გვგონია მართლ «ყოფილი»—რამზეი მაკდონალდი ამიტომ დაიძრა ლონდონიდან, მიაშურა ქენევის, რომს, პარიზს, რომ ქვეყნიერება იხსნას მეორე დიდი ომისაგან. რა გამოვა აქედან, ეს სხვა კითხვაა, მაგრამ ტრადიციულ კაპიტალიზმის მთავარი ძალები რომ დაიძრენ რეჟიმის სახსენლათ, ეს ხომ ყველასათვის ცხადია. შეხეთ რუხველტს, თვით კანგრესის მიერ დიქტატორის უფლებით აღჭურვილს, როგორ გაფითრებული უცქერის ატლანტიკის გაღმიდან ევროპას, როგორ ეფიცება ქენევის ერთგულობას განიარაღების საკითხში, როგორ ემზადება მსოფლიო ეკონომურ ფინანსურ კონფერენციისათვის. მაგრამ ჯერ ყელამდე ჩაფლულია დოლარის ხსნაში. ვის ახსოვს ჩინეთი, მანჯუკუო, ჯეპოლი, ბუ-ი!

ყველაფერი აირია, ხევითა ვსთქვით, და ამ საერთო შიშიანობის სათავე ბერლინშია, იქიდან მობერავს ახალი გრიგალი, მოშხლის ახალი ზვირთები. დამბები, დამბები!—გაპკივიან ერთნი, სურთ თავის კალაპოტში ჩაადონ ეს აბობქრებული სტიქია. არა, საჭიროა გერმანიის ზვირთების მსოფლიო კალაპოტში მოქცევა, ერთათ ვიცურათ, ერთათ გავალთ ფონსო—გაპკივიან მეორენი. აი, ორი მეთოდი, პირველი შეიარაღების, მეორე განიარაღების, პირველი ომის, მეორე მშვიდობიანობის.

ჩვენ არ ვიცით, რომელი მეთოდი გაიმარჯვებს, მაგრამ ამ თავითვე ვხედავთ ზოგიერთ ნიშნებს. პირველ ყოვლისა, იდეოლოგიურ სფეროში: ნაციონალიზმი, სოციალიზმი. ხევით თქმულიდან ნათელია, რომელია მათში მთავარი, რომელი—მაჩანჩალა, ან უკეთ—რომელი რომელს იყენებს, იმსახურებს. ჰიტლერის გერმანიაში ნაციონალიზმი ყველაფერია, სოციალიზმი—სიტყვის მასალაა, პირველის ფართე მასებში უფრო ღრმათ შესაქრელათ.

ესლა ვადვიდეთ პრაქტიკაზე.—აქ ხომ ბოლშევიკები ნამდვილი სპეცები არიან, ასი პროცენტით რევოლუციონერები, და სოციალიზმს არა მართლ სი-

ტყვით. «საქმითაც» ანხორციელებენ. და, რასაკვირველია, მეორე ინტერნაციონალიც მას მიმართავს: არიქა, დავსდოთ თავდაუსხმელობის პაქტი, ჰიტლერისმი გვემუქრებაო. კავშირს აბა ვინ შეგედავს, ნეიტრალიტეტს ემუდარებიან. მაგრამ გვიანდაა, მოსკოვმა უკვე დასდო პაქტი მთავრობებთან, მას ხომ სიტყვის გატეხა არ სჩვევია! და უბრძანებს თავის ფილიალებს: ელაპარაკეთ სოციალისტურ ცენტრებს, ხოლო ხალხში მუსრი გაავლეთო.

საფრანგეთი, რომელიც ყველაზე უფრო ახლო გრძნობს ჰიტლერისმის საშიშროებას, ხელს უწყდის მოსკოვს, პაქტი ძალაშია, ესლა ძველი ალიანსის აღდგენაზე ფიქრობენ... უკვე შეკრეს სამხედრო კავშირი—ხმები—და პრემიერი დალაღი ენერგიულათ უარყოფს მას. ჯერ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ კამლი უცეცხლოთ არ ჩნდება.

აბა მიაყურეთ სხვა ხმებს... თუ გამოგონილია, კარგი გამოგონილია, როგორც ფრანგები იტყვიან. სლავიანთა სახელმწიფოები ირახმებიან, მართლ ანტანტას არ კმარობენ და სადაც შორიდან მათი მდარველი დიდი რუსეთი მოსჩანსო. თურქი სდუმს, ქეჩოკი ეწვისო, და იგონებენ ანკარას მუდმივ შიშს: საფრანგეთი ადრე თუ გვიან ალიანს აღადგენს რუსეთთან და ჩვენც ზვარაკად მიგვიტანსო. აღმოსავლეთური ფატალიზმი!

რომშიც შეინძრენ: როგორ! მოსკოვი, ასე მეგობრულათ რომ ვევაქრებოდი, თუმცა შინ კომუნისმი მოვსპე, ცარიზმის პოლიტიკის აღდგენას ლამობს ბალკანეთში, რომელიც ჩემი გავლენის სფერო მეგონაო—კვირობს დუჩე. და... ხელს აუშვებს, ან უკეთ—უწყობს ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებას ოტო კაბსბურგის გვირგვინის ქვეშ, ესეც ერთი დამბაა თეთრი დათვის წინამდევ. შეიძლება მეორე დამბაც დასპირდეს... ჰიტლერის წინამდევ, რომ ავსტრია არ გადაყლაპოს!

მაგრამ უფრო საინტერესოა ლოკარნოს ამბები, რომელსაც ასე გაუბრაზებია «იხვესტია-პრავდა». თურმე ნუ იტყვით, იქ თათბირი მოუწყვია ჰიტლერის საიდუმლო საგარეო მინისტრს როზენბერგს, დასწრებია, სხვათა შორის. უკრაინის პრეტენდენტი კონოვალეც. და გადაუწყვეტიათ რუსეთისგან უკრაინის და თეთრი რუსების ჩამოშორება, მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

კიდევ უკეთესი: ჰიტლერის გადატრიალებაში ლონდონის მენაფეთეთა ხელიც ერიაო. ეს რას ნიშნავს? რუსეთთან გაწყვეტას, რაპალოს აქტის დახვევას და გერმანიის ბაზრის დახურვას მისი ნავთისთვის. მაშ კავკასიის ჩამოშორებაც თითქო ამ კომბინაციაში შედის! ვინ არ იცის «როიალ დატჩის» დიდნი-



ტერესები ბაქა გროზნაში? თითქო ისტორია მეორედება, 1914-1918 წლები...

აი ხმები, კარგათ გამოგონილი ხმები! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ გერმანიაში ისევ გაიღვიძა პანსლავიზმის შიშმა? თუ ვისმეს ჰგონია, რომ ომის დროს ეს შიში თითებიდან ამოწოვილი იყო, ძალიან ცდება. დაუშვით ერთს წუთს, რომ რუსეთი არ დაცემულიყო ომის გათავებამდე, მისი დელეგაცია დასწრებოდა ვერსალის კონფერენციას, რა მოხდებოდა? სლავიანთა ტომების გაერთიანება მოსკოვის მეთაურობით და მათი დროშა აიხსოვებოდა აფრიკადებოდა. რა მოუვიდოდა გერმანიას? მას ვაცილებით მეტს ჩამოსჭრიდენ ყოველ მხრიდან და, რაც დარჩებოდა, დააკუწებდნენ პატარა და უძლურ სახელმწიფოებად, როგორც სამუალო საუკუნეებში. ეს პერსპექტივი თვითვე გერმანიელს წამდაუწუმ ელანდებოდა, ყრუანტელს გვრიდა ტანში, აი რატომ ასეთი სიმძლავრით დაეტაკა ვილჰელმის გერმანია ძველ რუსეთს და რატომ შეუდგა მის დანაწილებას... მაგრამ დასავლეთით დამარცხდა და ვიცი, რაც მოხდა შემდეგ.

რას წარმოადგენს დღევანდელი რუსეთი, საბჭოთა კავშირად წოდებული? ის სულს ღაფავს, სამოქალაქო ომის წინ სდგას. სწორეთ ეს წუთი აიხრია საფრანგეთმა მასთან დასაახლოებლათ! და რუხველტის ამერიკაც თითქო ამ დროს უცდიდა მისთვის ხელის გასაწვდნათ. უშველის ეს სტალინის დიქტატურას, ინსნის წაქცევისაგან? არა, ცხადია, ეს მიზანი არცა

აქეთ დასახული, სურთ მისი გამოყენება, როგორც საფრთხობელასი, ევროპასა და შორეულ აზიაში. მოითმენს ამას ახალი გერმანიის იმპერია? უგერმანიოთ მოსკოვის დიქტატურა ხომ ვერ იბოგინებდა, ის ეხმარებოდა, კახმავდა, მისი ხელი იყო ყველგან. მასხადამე, როგორც კი დაპირებებს მოსკოვი აბრუნდს, გერმანია არ დაყოვნებს გეზი შესცვალს მის მიმართ.

გავიხსენოთ რაცა ვსთქვით. საერთაშორისო კრიზისი ლიკვიდაციის ხანაში შედის. იქნება ეს ლიკვიდაცია ძალმოძრეობითი თუ მშვიდობიანი, დამოკიდებულია იმაზე, შესძლებენ თუ არა არსებული მმართველი წრეები განთავისუფლდნენ ნაციონალისტურ ეგოიზმისაგან და შეუდგენ საერთო ძალით ზვინებად დაგროვილ ასაფეთქებელ მასალის მოსპობას და უკიდურესათ შერყეულ ეკონომიის და ფინანსების, აგრეთვე ტერიტორიალურ დავების მშვიდობიანათ მოწესრიგებას.

რალა დაგვჩენია პატარა ერებს, ქართველ ერს, თუ არა უდიდესი სიფრთხილვე, რათა ჩვენი პატარა ნავი არ გაიტაცოს და არ მიამსხვრიოს გავმავებულმა მსოფლიო სტიქიამ. ვართ კი ამისთვის მზად? გვაქვს კი გათვალისწინებული ყველა მიხვეულ-მოხვეული გზები, რომ შევძლოთ ჩვენი ძვირფასი ნავის გადარჩენა? სჩქევს თუ არა კიდევ ჩვენს ძარღვებში სისხლი ქართველისა, რომელიც არ იყო თითქო ამ უნარს მოკლებული საუკუნეთა გასწვრივ?

**აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს**


(წერილი საქართველოდან)

II. ნაციონალური პოლიტიკა აფხაზეთში.  
მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ნაციონალური პოლიტიკა საქართველოს ამ კუთხეში. არსად ისე მკვიდრად არ დგას საქართველოსთან ეროვნული ბრძოლის საკითხი, როგორც აქ—აფხაზეთში. რუსეთის ბოლშევიკების მუშაობა ამ მხრივი იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე მოახერხონ ამ კუთხის რუსულ ნადავლედ გარდაქმნა და აფხაზეთის შეერთება პირდაპირ რუსეთთან, რისთვისაც მუშაობენ აფხაზეთში გავლენიანი წრეები. ეს მიზანი, შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით იყოს, ვინემ აფხაზეთია, მაგრამ სხვაგან ეს ნახევრად ლეგალურ ფორმანია, აქ კი იგი სრულიად პირდადე ახდილია. რუსიფიკატორულ პოლიტიკას ვერ ახერგებს ვერც საქართველოს ბოლშევიკების ცეკას «ფახაფუხი» და ვერც კომუნისტური თვითკრიტიკა დიდ მპყრობელური შოვინიზმის საწინააღმდეგოთ. აფხაზეთის სხვა ერთად გამოცხადებით, რომელიც ვითომ და არაფრითა დაკავშირებული საქართველოსთან,

გარდა ტერიტორიალური მეზობლობისა,—ბოლშევიკებს მიეცათ საბაზი იმისა, რომ ქართული ენა აფხაზეთში აეკრძალათ, როგორც სახელმწიფო ენა და მის მაგივრად რუსული ენა შემოეღოთ. ამ უმად ეს გეგმა თითქმის სავსებით განხორციელებულია და არსად აფხაზეთში არ არის ხმარებაში ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა (მხოლოდ გალის რაიონი ცდილობს ქართული ენის დაცვას).

ვივინ არ იცის, რომ ენა ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია ერის ერთობის და შეკავშირების ამიტომ არის, რომ მოსკოვი ასე დაბეჯითებით ცდილობს ქართული ენის დასუსტებას; მისი მნიშვნელობის დაცემას, კუთხურბ, პროვინციალური ენის წინ წამოწევას, რომ ამით გზა გაეხსნეს «ოქტომბრის» ენას.

პირველად ბოლშევიკებმა აფხაზეთში ქართული ენის საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყეს თავისებური პროვოკაციული ხერხით. ისინი ეუბნებოდნენ მცხოვრებთ, რომ საქართველოს სურდათქვენი ეროვნული



სახის წაშლა, აქ აბატონებდა ქართულ ენას მაშინ, როცა სახელმწიფო ენად აქ აფხაზური ენა უნდა იყოს. და აი აფხაზური ენისთვის უპირატესობის მოტივით განიდევნა ქართული ენა და ასპარეზი დაარჩა რუსულს და აფხაზურს. ფორმალურად სახელმწიფო ენად ითვლება აფხაზური, ხოლო დამხმარეთ რუსული. ქართული ენას დარჩა იგივე ადგილი, რაც ამავე აფხაზეთში ბერძნულს, სომხურს და თურქულს, ახლად შემუშავებული შრიფტით იბეჭდება აფხაზური გაზეთი და რუსული «სოვეტსკაია აბხაზია». ეს ახლად შემუშავებული ანბანი იცის მხოლოდ რამდენიმე, ამიტომ აფხაზურ გაზეთს არავინ კითხულობს, ქალაქათაც კი არ საღდება, რადგან პატარა ფორმატისაა.

რუსული გაზეთი კი დღესასწაულობს გამარჯვებას. ვინაიდან აფხაზური ენის წინ წამოყენებით მან განდევნა რა ქართული ენა, ბურთი და მოედანი მას დარჩა. ერთად ერთი ენა, რომელიც აფხაზეთში შესძლებდა რუსული ენისთვის გამკლავებას, იყო ქართული, რადგან აფხაზები რომ ქართველებათ არ ჩავთვალთ, აქ მაინც რჩება ქართველი მოსახლეობის დიდი რიცხვი, რომელთაც აქვთ ეროვნულ ენაზედ სკოლები და სხვა კულტურული დეწესებულებანი. და აი ასეთი ენის განდევნით რუსული ენა დარჩა პირისპირ სუსტ აფხაზურ კილოვანთან, რომლის «ქირსიფლობაც» კი იცისრა. ეს «ქირსიფლობა» მართლაც გასწია მან. საკმარისია მოუხმინოთ აფხაზ მომხსენებელს, რომ იგრძნოთ ამ რუსული დედინაცვლის ხელი. ყველა წინადადება სავერა რუსიციზით. სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და კულტურული შინაარსის გამომხატველ სიტყვათა ლექსიკონი რომ შევადგინოთ და წარუდგინოთ რომელიმე ენათა მეცნიერს, რომელმაც არ იცის ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელშიდაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, იგი იტყვდა, რომ აფხაზური ენა და რუსული ძლიერ ახლო მონათესავე ენებია. ეს, რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით. ერთ მეცნიერებს მოყავთ სამასზე მეტი მაგალითი, სადაც სიტყვები და მისი მნიშვნელობა ერთი და იგივეა აფხაზურსა და ქართულში; 400-ზე მეტი მაგალითი ქართულს და მეგრულში, რითაც გამოყავთ დასკვნა, რომ ეს ენები ერთი მეორისაგან, ერთი შტოსაგან არიან წარმომდგარი და შემდეგ დროთა ვითარებაში გეოგრაფიულ და პოლიტიკური პირობების გამო დაშორებიან ერთმანეთსო. მოყვანალი მაგალითები ეყრდნობიან ხალხის სლაპარაკო ენას. ესლა არის ცდა არა დაახლოვების ამ პროვინციულ ენის სალიტერატურო ენასთან, არამედ მისი დაშლის და დანაწილების. მოსკოვის პოლიტიკა ამ დარგში შემდეგია: — მიეცი დიდი მნიშვნელობა პროვინციულურ ენას. რომ შესუსტო ძალა და მნიშვნელობა ეროვნული ენის და ამით გზა გაუხსნა «ოქტომბრის» ენას! მეგრული «ყახახიშე გაზეთი», ან ანბანის სასწავლო წიგნი მოზრდილთათვის «ქითა ჩხორია» და სხვა გამოცემანი ამ მიზნის ვანადებთა პრაქტიკაში. ასეთმა პოლიტიკამ იმდენად გააძლიერა რუსული, განსაკუთრებით აფხაზურ ენაში, რომ როცა მომხსენებელი ლაპარაკობს, მისი სიტყვის უმეტესობა რუსულია. «ალიკ-

ბენ», «აპერვომაი», «კრასნი არმია» და სხვა ასეთებით სავსებით დატვირთულია აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე მომხსენებელი. აი 10-11 წლის შედეგი. ეს კი იმას ლაპარაკობს, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ მხრივ, შესძლო ათ თერთმეტ წელში იმის ვაკეთება, რაც ვერ გააკეთა მეფის რეჟიმმა 117 წელში. თუ მოსკოვის დღევანდელ ხერხებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს არ არის მთლათ ახალი ხერხი ლაკობა-ლადარის უკან დგას წითელი იმპერიალიზმი და იგი აკეთებს იმას, რასაც აკეთებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ვორონცოვი, ფორმალურათ ქართულის დამცველი, შინაარსით ყოველგვარ რუსულის მსახური-ეს პარალელი შემთხვევით არ არის და იგი მარტო ერთ ფაქტს არ ემყარება.

ქართული ენის დევნა არ დარჩათ შეუმჩნეველი თვით აფხაზეთის ბოლშევიკებს და საქ—სკომუნ. ცეკას. ვანსაკუთრებით გალის რაიონი იწყებს ბრძოლას რუსიფიკაციის წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანებში სრულიად პირბადე აიხადეს მოსკოვის აგენტებმა და საკითხი დააყენეს აფხაზეთის უშუალოთ შეერთების რუსეთთან ავტონომიური უფლებებით. ამას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გალის ბოლშევიკებმა იქ ცნობილი პირის ხაბურზანის მეთაურობით. ხაბურზანიამ პირდაპირ განაცხადა: თუ აფხაზეთი საქართველოს გამოეყოფა და რუსეთთან მივა, მაშინ იცოდეთ სამურძაყანო (გალის რაიონი) აფხაზეთს გამოეყოფა და საქართველოსთან რჩებაო. ეს არ იყო მარტო ხაბურზანის ნათქმისი, ამას მთელი მოსახლეობა თანაუგრძობდა. ეს საკითხი იორჩიოდა პარტიის დახურულ კრებებზე. მაგრამ ასეთი დიდი საკითხი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დახურულ კრებში და იგი მასაში გადავიდა. დღეს ეს ყველამ იცის ამ რიგად ჯერჯერობით საკითხი მოიხსნა. ლაკობას არ სურს სამურძაყანოს დათმობა, რომელსაც ის კარგავს რუსეთთან მისვლით. სამაგიერო მასის გარუხების პოლიტიკა განსაკუთრებულ ტემპით და ხერხით სწარმოებს. ენის საკითხშიაც, როგორც ავღნიშნეთ, იბრძვის განსაკუთრებით გალის რაიონი და იგი თხოულობს სახმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას და ამ მოთხოვნილებას ასაბუთებს ცეკაში (ბ.). ამის შემდეგ ხდება თვით გამათარახება და მთელი ბრძოლის შედეგათ მივიღეთ ერთ პატარა განცხადება «სოვეტსკაია აბხაზიაში» (11 მარტი 1932 წ. №108). ამ განცხადებაში ნათქვამია: «რუსული მანქანების გარდა რაიონებში უნდა იქნას შემოღებული საბეჭდო მანქანები იმ ენაზე, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ენათ რაიონში. მაგ. გუდაუთის რაიონში აფხაზურ ენაზე, გალის რაიონში ქართულზე». ხელს აწერს ლაკობა და ლადარია.

უკვე 11 წელია განდევნილია სხვა ენები გარდა რუსულისა და 11 მარტს მოაგონდათ იგი. მაგრამ რას გვეუბნება ეს განცხადება? რატომ წაივლიდნ ეს რუსიფიკატორები ამ დათმობაზე? თუ კარგათ ჩავხედავთ სინამდვილეს, დავინახავთ, რომ ამ განცხადების შესრულებაც არაფერს მოგვცემს, გარდა იმისა, რომ ეს საბეჭდო მანქანები ქართული ან აფხა-

ზური—იქნება შეძენელი და ჩარიცხული ამა თუ იმ დაწესებულების საინვენტარო დავთარში. თვით მანქანა იქნება შენახული იმათ საპასუხოთ, ვინც გაბედავს და იტყვის, რომ ნაც. პოლიტიკა აფხაზეთში მახინჯდებოდა. ან და იგივე მანქანები გამოყენებული იქნება ბერნარდ შოუს ტიპის გასტროლიორების თვლის ასახვევად და საბჭოთა ქვეყნის მართველთა დიდსულოვნების დასამტკიცებლად პატარა ერების მიმართ. ეს ასე მოხდება და აი რატომ: აფხაზები დაწესებულებებში ცოტანი არიან და ვინც არის, ისიც რუსულ სკოლაშია აღზდილი, ასე, რომ მან რუსული ენა უკეთ იცის, ვიდრე აფხაზური. ქართველი დიდი ხანია აქედან განდევნილია, ანდა დაწესებულებებში დარჩენილი არიან ისეთები, რომლებსაც რუსულ ენაზედაც შეუძლიათ საქმის წარმოება. თუ დაწესებულებაში ერთი აფხაზი, ან ქართველია—იქ ათი რუსია, რომლებმაც გარდა რუსულისა, ცხადია, არაფერი იციან. ამ პირობებში, რომელიმე აფხაზი, ან ქართველი განა თვითონ დაბეჭდავს, თვითონ წაიკითხავს და თვითონ შეასრულებს? მას ხომ დამოკიდებულება აქვს სხვა თანამშრომლებთან და, ცხადია, საქმიანი ურთიერთობა სწარმოებს იმ ენაზე, რომელიც მათ ყველას ესმით. ასეთი კი რუსული ენაა. ეს გარემოება ძალიან კარგა თიციან ახალმა ვორანცოვებმა. და ამიტომაც არის ნახსენები «გარდა რუსული მანქანებისა», მაშასადამე, რუსული აუცილებლთ უნდა იყოს, მაგრამ ქართული და აფხაზური მანქანები კი შეძენილია ბრიყვთა მოსატყუებლათ. ხშირად ბოლშევიკები იმათ, ვინც ქართული ენის უფლებას იცავს—მოვიზისტებთ ნათლავენ და რუსული ენის—«ოქტომბრის» ენის—სიძულვილს

აბრალებენ და ეს ხომ მომაკდინებელ ცოდვათ ითვლება კომუნისტურ სამყაროში. მაგრამ სინამდვილეში ვერ ნახავთ ისეთ მიმდინარეობას კომუნისტებში, რომელიც რუსულ ენას ებრძოდეს. ბრძოლა რუსული ენის, რუსული ლიტერატურის და სხვა ასეთების წინააღმდეგ აქ არავის აზრადაც არ მოსვლია. აქაური მოწინავე ძალები—კომუნისტური და არა კომუნისტური—შორს დგანან ასეთი ზოლოჯიური მოვიზიზმისაგან, მაგრამ ბოლშევიკებმა, რომ სხელი ააღებინონ ახალგაზდობას და ყველას, ვინც საღად აზროვნობს რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე, გამოიყვანეს კანონიერი მოთხოვნილებისაგან მოვიზისტური დასკვნები. ქართული ენის განდევნამ აფხაზეთის დაწესებულებებიდან ბუნებრივად განდევნა თვით ქართველი თანამშრომლები და ამით კარი გაუღეს რუსეთის ბოლშევიკურ მოხელეებს ჩვენს დაწესებულებებში.

ამრიგად ქართველი ხალხის კონცეტრაციულ ლაგერებში და სხვა კუთხეებში გადასახლებით და აქ ძალით, თუ ნებით გამოადევნილი რუსების მოკალათებით ცთილობს ხელისუფლება «სწორი ეროვნული პოლიტიკის» წარმოებას. აქ შეხვდებით აუარებელ უკრაინელებს, რომელთაც ძალით დაატოვებთ იეს საყვარელი ოჯახი და სამშობლო; აქ შეხვდებით ასეთსავე ნიდაზზე გადმოხვეწილ ბელორუსებს. ისინი აქ იტანჯებიან, ჩვენები—რუსეთის შორეულ გუბერნიებში. ასეთია ბოლშევიკების გენერალური ხაზი. ასეთია მათი «სწორი ნაციონალური პოლიტიკა».

(გაგაძელება იქნება)

გენო.

აფხაზეთი, 1932 წ.

### პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიიდან

(დასასრული)

#### III.


1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობამ გამოიწვია ფრიად დიდი პოლიტიკური ემიგრაცია კონგრესოვის სამეფოდან. უმთავრესად ის მოგროვდა ვალიციაში, რომელიც აირჩია ასპარეზად შემდეგი მოქმედებისათვის ეს გამოიწვია ორმა გარემოებამ: პირველია—ვალციის ავტონომია, დიდი ეროვნული თავისუფლება, რომელიც იქ გამეფებული იყო,—ქმნიდა ვალიციას გონებრივ, კულტურულ და, ემიგრაციის შემოსვლის შემდეგ, პოლონეთის ცხოვრების პოლიტიკურ ცენტრად; მეორეა—მტრული დამოკიდებულება ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთს შორის, რაიც საშუალებას იძლეოდა განვითარებულიყო იქ პოლონეთის ეროვნული და დამოუკიდებლობისათვის მუშაობა, აზროვნება და მოქმედება.

რევოლუციის წაგებამ, იოსებ პილსუდსკი მინც ვერ აიძულა, იარაღი გაეგდო ხელიდან. 1905 1906 წ. ბრძოლების გამოცდილებით აღჭურვილმა ღრმად დააფასა ის ურთიერთობა, რომელიც იმ დროს ევროპაში ვითარდებოდა, და არ შესცვალა თავის გეგმა შეიარაღებულ ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის, მხოლოდ გამოცვალა მეთოდები და მოქმედე-

ბის საშუალებები, თანახმად მიღებულ გამოცდილებებისა.

გამოცდილება კი «სამხედრო ორგანიზაციის» ბრძოლებისა ურყევლად ამტკიცებდა, რომ მტრის ჯარის საწინააღმდეგოთ, რომელიც ერთნაირად შეიარაღებული და შეკანზმულია—უნდა გაილაშქროს აგრეთვე ჯარმა, თუ არ გვინდა თავიდანვე დავმარცხდეთ. დასვა რა ეს თეზისი, რომელიც ემყარებოდა დოქტრინაზედ «ბრძოლა ჯარისა ჯარის წინააღმდეგ»—მოკლე ხანში მისცა ამ დოქტრინას რეალური გზა მუშაობისა, და შეუდგა მთელი თავის ენერგიით სამხედრო მუშაობას, მილიტარულ მუშაობას, როგორც იმ დროს ლაპარაკობდენ, აჯანყებით ბრძოლის მზადებას დამოუკიდებლობისათვის; ეს საჭირო იყო მით უმეტეს, რომ ევროპაში შექმნილი მთელი მდგომარეობა ამის აუცილებლობას ცხად ჰყოფდა.

ვინც კი ფხიზლად დააკვირდებოდა იმ წლების საერთაშორისო განწყობილებებს, მისთვის ნათელი იყო, თუ რაც მზადდებოდა. «შეჯიბრება შეიარაღებისა», რომელსაც იმ დროს ყველა ევროპული სახელმწიფოები აწარმოებდენ, გარკვეული დაყოფა



ორ დიდ შეიარაღებულ ჯგუფებდა—გერმანია და ავსტრია ერთის მხრივ, საფრანგეთი, რუსეთი და ინგლისი მეორე მხრივ, სასტიკი ეკონომიური ბრძოლა სამოქმედო ასპარეზზე და სამხედრო ფლოტის ზღვებზე ბატონობისათვის, ყველაფერი ეს სრულებით ნათლათ მაჩვენებელი იყო, რომ დიდი, მსოფლიო ომის აფეთქება თანდათან ახლოვდებოდა, რომ ამ საერთაშორისო ომში, «ერების ომში», რომლისთვის ლოცვილობდა მიცკევიჩი,—პოლონეთის დამანაწილებელნი სახელმწიფოები სასტიკ ბრძოლით გამოვლენ ერთი მეორეს წინააღმდეგ. ეს გარემოება პოლონეთს უნდა გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. იოსებ პილსუდსკი 1906 წლიდან იწყებს სწორედ იმ მუშაობას, რომელიც ყველაფერს ამას საუკეთესოდ და ყოველმხრივ გამოიყენებდა, და ცთილობს ეს შეუფარდეს მომავალ სამხედრო მდგომარეობას და მოქმედებას.

ესლა უკვე არ არის შებორკილი იმ «ოპონიციით», რომელიც თვით პარტიაში წარმოიშვა, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ყველა წევრები არ ეთანხმებოდნენ ი. პილსუდსკის სააჯანყებო—სამხედრო ხასიათის მუშაობას, და აბრალებდნენ მას «ეროვნულ აჯანყებას» გამოწვევის სურვილს, რომელიც წარმოდგენილი ქონდათ, როგორც ომი რუსეთთან, და ამ ნიდავზე მოხდა მათში განხეთქილება. ეს ოპონიციონერები ფიქრობდნენ მკიდრო შეხამება-შეწყობასა რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობასთან, რომ საერთო რევოლუცია მოეხდინათ, რომლის შედეგად უნდა ყოფილიყო გამოცალკეება კანგარესოვის სამეფოსი, რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. იოსებ პილსუდსკი კი იცავდა აჯანყებას, სამხედრო ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამ შეხედულებათა განსხვავებამ გამოიწვია 1906 წ. ვენის პარტიულ კრებაზე საბოლოო გათიშვა. მემარჯვენეები, პილსუდსკის მეთაურობით, ქმნიან «პოლონეთის სოციალისტურ პარტიის რევოლუციონურ ფრაქციას». მემარცხენეები, რჩებიან პოლონეთის სოციალისტურ პარტიით და ქმნიან «პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოც. დემოკრატიას», რომელიც შემდეგ პოლონურ კომუნისტურ პარტიად გადაიქცა.

განთავისუფლდა თუ არა ამ გვირავდ შინაურ უთანხმოებისაგან, იოსებ პილსუდსკი ფრთად ენერგიულად შეუდგა თავის დებულებების ცხვენებაში გატარებას. მის ხელშია მებრძოლი ორგანიზაცია, მუშაობს მისი გამხედრებისათვის, რის კვალიც დღემდის დარჩა (ესაა მთელი რიგი წესდებებისა, რომელნიც გამოცემული იყო იმ დროს მებრძოლ განყოფილების მიერ). ცდილობს შეკრიბოს თავის იდეის ირგვლივ რაც შეიძლება მეტი მოქმედი, ახალგაზრდა ელემენტი, რომლებსაც სწავლიათ იდეის საქმედ ქცევა. ამ მხრივ, იოსებ პილსუდსკის იდეის გავლენა ახალგაზრდა ელემენტებზე დიდია და ყოველ თვე ფართო წრეებს ედება. ლვოვში შესდგა სამხედრო ორგანიზაცია «შეთანხმებელთა» და მოკლე ხანში, 1907 წლის ბოლოს არსდება «კავშირი მოქმედ ბრძოლისა», რომელშიაც ეს ორგანიზაცია შევიდა; ეს კავშირი მოაწყო პილსუდსკის ერთმა მეგობარ-თანამშრომელთაგანმა კაზიმირ სოსნკოვსკიმ. როგორც

მოქმედ ბრძოლის კავშირის დეკლარაციიდან სჩანს, ამ ორგანიზაციის მიზანი იყო «ცარიზმის საზღვრების გარეთ ეწარმოებინათ მოსამზადებელი მუშაობა, აგრეთვე ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა გაწერონა, მომავალ შეიარაღებულ აჯანყებისათვის, რუსეთის მიერ დაპყრობილ პოლონეთში. კავშირის მისწრაფება იყო რევოლუციონურად პოლონეთის აღდგენა და მის წევრების შეთანხმებულ მოქმედებებს მიზნათ ჰქონდათ დასახული დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

დასაწყისში წყნარი კავშირი, რომელსაც მეთაურობდა კაზიმირი სოსნკოვსკი ლვოვში, მოკლე ხანში ედება ფართო წრეებს, ორგანიზაციული ძაფები გაიბმება პირველად სხვა გალიციის ქალაქებში, შემდეგ კი პოლონეთის სამეფოში და რუსეთში და აგრეთვე საზღვარგარეთ. მათ სათავეში სდგება ესლა უკვე როგორც მთავარი კომენდანტი იოსებ პილსუდსკი და მის ხელშია უშუალოდ მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა. ორგანიზაციის გაზრდასთან ერთად ღრმავდება აგრეთვე თვითმოქმედების ხასიათიც. თუ თავში მუშაობა შესდგებოდა დროგამოშვებითი მოხსენებებისა და ნაოციერთ პრაქტიკულ მეცნიერებისაგან, ესლა უკვე, ორგანიზაციულად მოწყობისას, შექმნილი იქნა სკოლები მთელი აპარატი, რომელსაც უნდა მოემზადებინა მომავალ ბრძოლისათვის ხელმძღვანელები. ამისთვისაც წარმოიშვა სამხედრო სკოლები დაბალ, საშუალო და უმაღლეს კურსებისთვის. ამ სკოლებში მეცადინეობა დაკავშირებული იყო პრაქტიკულ მეცადინეობებთან ველზედ, და არაფრით განსხვავდებოდნენ სახელმწიფო სკოლებისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ მოქმედ ბრძოლის კავშირის მოწაფეები უმთავრესად სტუდენტები იყვნენ, რომელნიც აზროვნებით და იდეურად მდიდრად იდგნენ.

როგორც ხემათ აღნიშნეთ, მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა იოსებ პილსუდსკი, როგორც მოქმედ ბრძოლის კავშირის მთავარი კომენდანტი და ეყრდნობოდა უმაღლეს უფროსობის შედგენილობაზედ, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგნაირად:

- ა) მოქმედ ბრძოლის კავშირის მთავარი საბჭო.
  - ბ) კავშირის კომენდანტი.
  - გ) კავშირის კომენდანტთან არსებული საბჭო.
- მთავარი საბჭო იკრიბებოდა წელიწადში ერთხელ, ივნისში; მას შეადგენდნენ: ა) ოფიცრები (რომელნიც ინიშნებოდნენ უმაღლეს კურსის დამთავრების შემდეგ), ბ) უმაღლეს კურსის მსმენელები.
- ისინი ირჩევდნენ ყოველ წლიურ კრებაზე კავშირის კომენდანტს—ასეთი იყო მუდამ ი. პილსუდსკი, რომელიც მუშაობდა მასთან დაარსებულ საბჭოსთან ერთად, და აგრეთვე მთავარ და ადგილობრივ შტაბების დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ შტაბის უფროსად განუწყვეტილ იყო კაზიმირ სოსნკოვსკი.
- ამგვარად მოწყობილ მუშაობის შედეგი იყო, რომ ყოველ თვე და ყოველ წელს მატულობდა წევრთა რიცხვი, რომელნიც ფიცს სდებდნენ დროშაზედ დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის. ორგანიზაციის



გაფართოების გამო საჭირო დარჩა. მიეცათ მისთვის სხვა ფარგლები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უფრო აქტიური და ეფექტური მუშაობა, მით უმეტეს, რომ საიდუმლო მოქმედებებში ბრძოლის კავშირში ექვემდებარებოდა ავსტრიის მთავრობას. გადაწყდა ფართო ორგანიზაციის შექმნა და ამ მიზნით დაარსდა ლეოპოლდის (სადაც სამუდამოდ გადავიდა იოს. პილსუდსკი) 1910 წ. «სტრუქტურული კავშირი», კრაკოვში კი ამხანაგობა «სტრუქტურული»-ი.

ამას არაფრით არ გამოუცვლია არც მუშაობის არსება და არც მისი საფუძველი; აგრეთვე არ ქონია მას გავლენა არც მოქმედებების ბრძოლის კავშირზედ. უკანასკნელი შეიქმნა ეხლა უმთავრეს და სახელმძღვანელო ორგანიზაციით; ამ კავშირის ორგანიზაციის საფუძველი. უფროსობის მოწესრიგება, სკოლათა მუშაობის სისტემა, გადატანილი იქნა ზოგიერთ ცვლილებებით სტრუქტურული კავშირის და სტრუქტურების მუშაობაში. აქაც, უმთავრესი გასაწვრთნისი მუშაობა ემყარებოდა სკოლებზედ—ჯარის კაცებისა, ნაცვალთა და ოფიცერთა კურსებზე, რომელნიც მუდმივ არსებობდნენ ოლქების (ოლქები: ლეოპოლდის, კრაკოვის, ჟეშოვის, სამეფო (კრუდევესტო) და რუსეთი, აგრეთვე საზღვარ გარეთის ოლქი) და ადგილობრივ შტაბებთან, და ამ გვარად ჰქმნიდა ორგანიზაციის გალიციისა, სამეფოსა, რუსეთისა და აგრეთვე თითქმის ყველა ევროპის ქალაქებში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში თავს იყრიდა პოლონეთის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ასეთი წარმოუდგენელი სამხედრო მუშაობა, რომლის მიზანი იყო მომზადება მომავალ აჯანყებისათვის, რაც შეიძლება მეტი კადრისა ნაცვალთა და ოფიცრობისა, და რომელსაც დაკვირვებული «პოლიტიკოსები» უყურებდნენ მხრების აწევით, სიბრალულით და ზურგულად, რომდენიმე წლის შემდეგ იჩენს თანდათან უდიდეს და მნიშვნელოვან შედეგებს.

ასეთად უნდა ჩაირიცხოს უპირველესად ყოვლინსა პოლონეთის მსროლელ დრუჟინების მოწყობა, რომელნიც წარმოიშვა 1912 წ. და ემყარებოდა სტრუქტურული შეჯგუფებებს და რომელთაც უწოდებდნენ «ხავეციკებს». ამ მრავალრიცხოვან და ენერგიით აღსავსე ჯგუფების დევნი იყო: შეიარაღებული ბრძოლა პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, რისთვისაც 1909 წლიდან აწყობენ სამხედრო კრებებს, და 1910 წლიდან კი სამხედრო კავშირს, ეგრეთ წოდებულ «პოლონეთის ჯარს», ერთი წლის შემდეგ კი «პოლონეთის მსროლელთა დრუჟინას». დრუჟინები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ უფროსი კომანდანტები (ბაგინსკი, ნორვოდ-ნეუგებაუერი, აგრეთვე 1912 წ. მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეგვოტა-იანუ-შიაიტისი), ემყარებოდნენ სტრუქტურული ორგანიზაციის, და მათაც გააფართოვეს ფრიად სამხედრო მუშაობა. ლეოპოლდის უფროსს დაექვემდებარენ საოლქო კომანდები (ლეოპოლდის, კრაკოვის, ვენასი, ვარშავისი, ლიეჟისი), სადაც დაარსებული იყო სამსახურში ახლად შესულთა სკოლები, ნაცვალთა და ოფიცერთა კურსები და მთელი გაწვრთნის მუშაობა (წესდებები, სამხედრო მიწარ-მოწერა) ვითარდებოდა სტრუქტურების კავშირის უმაღლეს შტაბთან შეთანხმებით.

ამ მუშაობის განვითარებას ფრიად ხელს უწყობს პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც თანდათან ევროპაში იქმნებოდა. 1912 წლიდან დღითი დღე ახლოვდებოდა ომი ავსტრიასა და რუსეთს შორის, რის გამოც ახალგაზრდა პოლონეთის გული ძალუმად სცემდა. სტრუქტურების დრუჟინების და კავშირების მიზანმიმართულ, მოკლე ხანში შესდგენენ—«ბარტოშოვის დრუჟინები», «პოდხალანის დრუჟინები», «კოსტიუშკოს სახელის დრუჟინები»; ფრიად გაიზარდა სკაუტების ორგანიზაციები და ბოლშევიკების ზოგიერთ ადგილებში, შევარდენის ორგანიზაციებშიც შეეკვეთა გაწვრთნის სამხედრო მეთოდები და ელემენტები და ჰქმნიან «შევარდენთა საველე დრუჟინებს». მუშაობა ფრიად მხოლოდ ვითარდებდა და პოლონეთის საზოგადოებაც მას მეტს ყურადღებას აქცევს.

საზოგადოებაში თანდათანობით იღვიძრება ახალი დამოუკიდებელი აზროვნება. იოსებ პილსუდსკი თავის სამხედრო მოძრაობასთან პარალელურად აწარმოებდა უდიდეს პოლიტიკურ მუშაობასაც, იმ მიზნით, რომ შემოეკრიბა დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებულ ბრძოლის დროშის ირგვლივ, რაც შეიძლება მეტი ხალხი და მიმართულიყვნა. მოქმედებდა ომის წარმოებას რუსეთის წინააღმდეგ მიემხრო პოლონეთის სოციალისტური პარტია, მოკლე ხანში მიემხრო ხალხური მიმართულებაც. დამოუკიდებლობის მებრძოლი იწყებენ მოქმედებას იარაღის და ფულის შესაგროვებლად; მოქმედებას, რომელიც უშუალოდ ამზადებს შეიარაღებულ ბრძოლას. 1912 წ. ზაკაპანაში, ყრბობამ დაადგინა შექმნილი ყოფილიყო «სამხედრო თანხა». მოკლე ხანში, როგორც მთელი სამხედრო მოქმედებების გასამაგრებელი საფუძველი, წარმოიშვა «დროშების კომისია დამოუკიდებლობის შეერთებულ მიმართულებებისა», რომელნიც ავითარებენ წარმოუდგენელ მუშაობას, რომ შექმნან მორალური და მატერიალური საფუძველი პოლონეთის აჯანყებისათვის რუსეთის საწინააღმდეგოთ.

ყველაფერი ეს ხდება ავსტრია-რუსეთის აუცილებელ ომის მოლოდინში, ყველაფერს ამას ხელმძღვანელობენ რუსეთის საწინააღმდეგოთ.

რომ რუსეთის და არა სხვა დამპყრობელ სახელმწიფოს საწინააღმდეგო იქცეობოდა აჯანყების იარაღი, ნათელია და კარგათ გასაგები; ეინაიდან ყველა სამ დამპყრობელთა შორის, რუსეთს ეკავა პოლონეთის უმეტესი ნაწილი, ამისთვისაც იქ უფრო ხშირათ აწარმოებდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ამის გარდა რუსეთი, თავის სლავთა გაერთიანების მისწრაფებით ყველაზედ უფრო ასუსტებდა პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას; იოსებ პილსუდსკი იმასაც აქცევდა ყურადღებას, რომ რუსეთი, მიუხედავად თავის უზარმაზარ ტერიტორიისა და მილიონიანი ჯარისა, ყველაზედ უფრო ადრე და სწრაფად უნდა დაუძლიერებელიყო მომავალ ომში.

ამ მოსაზრებამ გამოიწვია ის, რომ ნავისტოს 1914 წ., რამოდენიმე საათით წინ ომის გამოცხადებამდე ავსტრიას და რუსეთს შორის, იოსებ პილსუდსკიმ თავისი «სტრუქტურების კავშირების» და მის უფროსობის ქვეშ მყოფი «სტრუქტურების დრუჟინე-

ბის» მობილიზაციის დამთავრების შემდეგ, —გასწია კონგრესოვის სამეფოს ტერიტორიისაკენ, და ამგვარად გამოუცხადა ომი რუსეთს \*).

პირველად, ორმოცდაათი წლის განმავლობაში, პოლონეთის შეიარაღებული და დისციპლინიანი ნაწილები გამეფდნენ სამიწელი მტრის წინამდევ საბრძოლველად სიკვდილ-სიცოცხლისთვის.

ვაგლავ ლიპინსკი.

### საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან

რა ტომ სდებო ასე?!

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უნადაგობა, უაზრობა და უთავბოლოობა, დღეს მაინც აშკარა ფაქტია. ამას ბოლშევიკებიც ხედავენ. მაგრამ მათ არ სურთ სინამდვილეს შეუბრუნდნენ, მის წინ ქედი მოიხარონ. მათ სჯერათ სტალინის სიტყვები, რომ «არ არსებობს ისეთი სიძნედე, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ ვერ დასძლიოს». აი ეს ავიატებული აზრი უშლით მათ ხელს, რომ ზოგჯერ სალი დაკვირებიდან, სალი დასკვნები გააკეთონ.

ასე დაემართა მიწათ მოქმედების სახალხო კომისარს იაკოვლევს; თებერვალში მოსკოვში მოწვეულ დამკვერელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე, თავის მოხსენებაში მან სწორად დასვა კითხვა: «როგორ მოხდა ის, რომ კოლმეურნეები, რომელთა თვითივე კომლს აქვს 9 ჰექტარი უადრესად ნაყოფიერი მიწა მარცვლოულის დასათესათ უკრაინის ერთ ერთ საუკეთესო რაიონში, რომელთაც სატრაქტორო სადგურმა დაუმუშავა მიწის საძირ მიერთებით, აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ ჯერ ერთი ვერ შეასრულეს თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, მეორე—ვერ უზრუნველყვეს თავისი თავი თესლით და კიდევ მეტი, მთელი რიგი კოლმეურნეები დარჩნენ უპურთ?»

ცხადია, განაგრძობს სტალინის მინისტრი, საქმეს ვერც ჰავემ უშველა და ვერც სატრაქტორო სადგურმა. მაშასადამე საქმე ყოფილა ხალხში. ყველაფერი არის ესლა იმისთვის, რომ კოლმეურნეები იცხოვროს ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ უცხოვრია მშობრმელ გლეხს. ყველა საჭირო პი-

\*) ბრძანება იოსებ პილსუდსკისა. რომელიც ვაცემული იყო ფრონტზე გამგზავრებულ კადრის გუნდისათვის, ამბობდა: «ჯარის კაცებო! წილად გხვდათ ის იშვიათი პატივი, რომ პირველნი მიდიხართ კრულისტვოში (სამეფოში) და გადალახავთ რუსეთის საზღვარს, რომ იბრძოლოთ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ყველანი ერთნი ხართ იმ მსხვერპლისათვის, რომელიც უნდა გაიღოთ. ყველა ჯარის კაცები ხართ. არ ვნიშნავ ხარისხებს, უბრძანებ მხოლოდ გამოცდილებს თქვენს შორის. აასრულონ უფროსების თანამდებობა. ხარისხებს მიიღებთ ბრძოლაში. ყოველს თქვენგანს შეუძლია გახდეს ოფიცერი, ისე როგორც ყოველ ოფიცერს შეუძლია დაიწიოს ჯარის კაცადმდე, რაც ადვილი არ უნდა ეკავოს».

რობები ამისთვის შექმნილია, მხოლოდ გვაკლია ერთი რამ—მუშაობის მოწყობა ისე, როგორც ეს საჭიროა» (კომ. № 44).

სწორეთ ეს «ერთი რამ» არის მთავარი. სახალხო მეურნეობის შესაფერისათ მოწყობა კი, მოითხოვს —ცოდნას, გამოცდილებას, კულტურას და თავისუფლებას. თორემ მიწა რუსეთს ყოველთვის ბლომათ ქონდა, სოფლის სამეურნეო მანქანებსაც იწერდნენ მემამულეები, მაგრამ რუსეთში გლეხი მუდამ მშვიერი და შიშველი იყო, ხალხო მეურნეობა—გაპარტახებულთ.

მეფის თვითპყრობელობა არც ერთ ამას არ ამლევდა გლეხს. სტალინის თვითპყრობელობამ შრომის თავისუფლებაც კი წაართვა. ამიტომ, როგორც თვითონ აღნიშნა იაკოვლევმა მოხსენებაში, გლეხი დღეს ამბობს: «რისთვის უნდა ავჩქარდე, მე ხომ დღეს ჩემთვის აღარ ვმუშავებ! არამედ ვმუშაობ მათთვის!»

აი, რატომ არიან კოლმეურნენი დამშეული და კოლმეურნეობანი გაპარტახებულნი. და ბოლშევიკებმა, მის მაგიერ რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება შეიგნონ, ჩეკისტებით და კავანოვიჩის მოხსენებით ფიქრობენ სოფლის მეურნეობის ფესზე დაყენებას. გლეხებმა შესაათე კავანოვიჩზე უკეთ იციან, რომ, თუ ბევრს დათესავ, ბევრს მოიპვი, მაგრამ ისიც იციან, რომ საბჭოთა კავშირში დღეს ის იპვის, ვისაც არ უთესია. ამიტომ მთელ კავშირში გლეხები ფიქრობენ მასზე, თუ როგორ მოიპოვონ თავისუფალი შრომის უფლება. რათა თავისი ნათესი თვითონვე მოიპვან, ვინაიდან დ. ჭენქაძის «სურამის ციხის» გმირივით, დარწმუნებული არიან: «სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლება».

ბოლშევიკმა კ. რადეკმა, მარქსიზმის საუკეთესო მცოდნეს კ. კაუტკის, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მოაუბრებლათ სიმართლე დასწერა: «ყიდვა ახალი მანქანების იმ დროს, როცა მისთვის არ მოგვაგებდა საკმაო კვალიფიციური მუშაობა ძალა, ნიშნავს არა სიმდიდრის შექმნას, არამედ ქონების გაფლანგვას», მაგრამ შეუკუბრთხა და სობაკევიჩი უწოდა. მაგრამ გოგოლის გმირების როლს სწორეთ ბოლშევიკები ასრულებენ და მათ კომუნისტურ ხლესტაკოვიჩინას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცხოვრება ფარდას ხდის.

ესლა ბოლშევიკების ბელადები და მათი პრესა პანიკას მისცემიან და ყვირიან: თუ თანამედროვე ტექნიკა არ ავითვისეთ და დავძლიეთ, სოციალისტური მეურნეობა დაიღუპება და დასამტკიცებლათ ამისა მოყავთ ამა თუ იმ წარმოების მდგომარეობა.

«ტფილისის მაულ-კამგოლის ფაბრიკა. სწერს გან. (კომ.) № 41, ეკუთვნის იმ საწარმოვოთა რიცხვს, რომლებიც პირველ ხუთწლეულში ამუშავებდნენ. ის მოწყობილია უახლესი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მაგრამ უმთავრესი ის არის, თუ როგორ ავითვისეთ ეს ახალი საწარმოო და ახალი ტექნიკა?»



გამოკვლევას დაუმტკიცებია, რომ აუთენიკობით ძლიერ ცუდათ. მაგალითათ—«სელფაქტორები» სახვარგარეთ საათში იძლევიან 23,04 კილოგ. პროდუქციას. ტფილისის მუდ-კამფოლის ფაბრიკაში კი—10,1 კილოგრამს. საქსოვი დახვეტი უნდა იძლეოდენ საათში—2.73 მეტრ ქსოვილს. იძლევიან კი—1.76. და ასე. მერე რათ დაემართა ასეთი საჯაყი საქმე ასეთ სამაყო ფაბრიკას და ისიც ტფილისში ხელისუფლების ცხვირის წინ?!

«იმიტომ, რომ, სწერს გახეთი, სრულიად გამოუცდელი, სოფლიდან მოსული, ან ყოველ შემთხვევაში, საფეიქრო საქმის უცოდინარი მუშა პირდაპირ მანქანაზე იწყებდა მუშაობას».

ყველა ამის მხაზველი და შემხედვარე სტალინის «ნამესტნიკი» ლ. ბერია რესპუბლიკანურ სამეურნეო პარტიათბირზე 15 თებერვალს, ამბობს: «ჩვენში, ერთი საქმე კარგათ გამოდის, ხალხი სამი საქმე კი ფუჭდება».

სხვაფრთვ არც შეიძლება, «ამხანაგო» ლარენტი! მართალია, თქვენ ყოჩაღი კაცი ხართ. დამსახურებული ჩეკისტიც ბრძანდებით, მაგრამ სახალხო მეურნეობა თიხის ქოთანია არ არის, რომ მას, თქვენ და სტალინმა, ისეთი ფორმა მისცეთ, როგორც მოგეპრიანებათ და ყური იქით გამოაბათ, საინთაც მოგეხისიათებათ. თუ თქვენ, სტალინისა და კავანაზის სიტყვებს გარდა, ლენინის ძველ ნაწერებსაც წაიკითხავთ, იქიდანაც კი გაიგებთ, რომ რუსეთის სინამდვილეს ვერც სტალინი გადაახტება თავზე და რომ ამერიკასა და ევროპასთან შეჯიბრებაში კავშირის სახალხო მეურნეობას კრილოვის ხარისა და გომბისის არაკის ამბავი მოსდის.



A HISTORY OF THE GEORGIAN PEOPLE  
BY W. E. D. ALLEN.

გამოვიდა ინგლისურ ენაზე «ქართველი ერის ისტორია», და მისი ავტორი არის საქართველოს დიდი მეგობარი; ახალგაზნა მკვლევარი და პოლიტიკური მოღვაწე—ამას წინათ თემთა პალატის წევრი—ბ. ალენი. წიგნი მონუმენტალური, შემკული იშვიათი სურათებით, რუკებით, მდიდარი ბიბლიოგრაფიით, ინდექსით, მთლათ შეიცავს 429 გვერდს in octavo, ლამაზი ყდით, ფასი 31 შილინგი და ნახევარი.

ავტორი მოგვითხრობს ჩვენი ერის ისტორიას უსახვარ დროიდან (ბრინჯაოს და რკინის ხანა) ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე, მე-18 საუკუნის დამლევს. ის გვაცნობს ქართველ ტომთა დაძვრას მცირე აზიიდან, აღევანდელ საქართველოს გეოგრაფიას, თავას. მოსახლეობას, ენება ენას. კერპთაყვანისმცემლობას. შემდეგ გადადის ისტორიულ ხანაზე, საქართველოს თანდათან გაერთიანება, ძლიერება, დანაწილება, უძლიერება, ნათელი წერტილები. ავტორი დიდ ადგილს უთმობს მწერლობას, ხელოვნებას, სარწმუნოებას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ნაწილი, სადაც აწერილია საშუალო საუკუნეთა კლასები, წოდებანი, ეგრედ წოდებული პა-

ტრონობა, ადმინისტრაცია, მართლმსაჯულება, მეფის კარი და სხ.

ბ. ალენი ემყარება აუარებელ ნაწერებს სხვა და სხვა ენებზე, ცდილობს დამოუკიდებლათ მიუდგეს მათ, არ თაკილობს ქართველ თუ არაქართველ მეგობრებისგან სასარგებლო მითითებათა მიღებას. მისი თავდაბლობა იქამდის მიდის, რომ ამბობს: იშვიათია ავტორი, რომ თავის ნაწერის ხელახლათ დაწერა არ სურდეს, ისე როგორც იშვიათია ადამიანი, რომ თავის ცხოვრების ხელახლავ დაწყება არ სურდეს. მაგრამ წიგნის შესავლის ავტორი ცნობილი ორიენტალისტი სერ დენისონ როსი არ ეთანხმება მას და დიდ ქებას უძღვნის, რომ ინგლისელს საშუალება მისცა, გაეცნოს თავის ენაზე ამ «რომანტიულ ქრისტიანულ ქვეყნის» მდიდარ ისტორიას.

მაგრამ რაც არა ნაკლებ ძვირფასია ჩვენთვის—ეს ბ. ალენის მიგობრული განწყობილება ქართველ ერისადმი, რომელიც გამოსუვივის მის შრომის თვითეულ სტრიქონიდან. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, მიკერძებას, გადამლაშებას, პირიქით! მაგალითისთვის შეგვიძლია მივუთითოთ მის მიერ ქართველის დახასიათებაზე (გვ. 71-73), რომელშიც დასწავლია ბევრი ჩვენგანი არც კი დაეთანხმოს მას: ქართველის ძირითადი თვისება «ესოტიური უპასუხისმგებლობა» და ამით აიხსნება ერის გამძლეობა.

ბ. ალენი წინასიტყვაობაში მადლობით იხსენიებს წოგიერთ პირებს, ვინც მას დახმარება გაუწია წიგნის შედგენაში, და მათ შორის პირველ ადგილს უთმობს ჩვენს თანამემამულეს ბ. ანდრო გუგუშვილს, რომლის «განუზომელმა» თანამშრომლობამ შემაძლებინა შრომის ამ სახით შესრულება. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ბ. გუგუშვილს, კიდევ ჩვენი საელჩოს დროიდან ლონდონში, რომლის წევრი თვითონ იყო, ის დაუწარებლათ და დიდის უნარით ემსახურება ქართულ საქმეს.

ეს პატარა შენიშნვა ბ. ალენის შესანიშნავ წიგნზე არ ჩაითვლება, თავის თავათ ცხადია, არც მის გარჩევად. არც დაფასებად. ჩვენი წადილი იყო მხოლოდ, გვემცნო მკითხველისთვის მისი მოვლინება და მნიშვნელობა. უცხო ენებზე ბევრი რამ დაწერილია ქართველ ერზე, მაგრამ არც ერთი, თუ არა ვცდებით, რომელიც ასე დალაგებით, ნათლათ, სავსებით აცნობდეს მკითხველს ჩვენს ისტორიას.

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ინგლისურ ენაზე ასეთი შრომის გამოვლა დიდ შეძენად უნდა ჩაითვალოს საქართველოსთვის და ჩვენც ესარგებლობთ ამ შემთხვევას, ვაშა მივაძახოთ მის ავტორს.

საქართველოს საკითხის გარშემო

განარაღების კომისიის გასული თვის ერთ-ერთ სხდომაზე საბჭოთა კომისარმა ლიტვინოვმა განსაზღვრა, თუ ვის უნდა ეწოდოს თავდამსხმელი და აგრესორი. ამ გარემოებას ენენის გახეთქმა «ყურნალდე ენეე»-მა მეთაური უძღვნა და მოაგონა ლიტვინოვს, რომ სწორედ ასეთი «თავმსხმელი და აგრესორი» იყო რუსეთი, როცა თავს დაესხა და შეესია სა-



ქართველს 1921 წელს. საქიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ეს წერილი მცირედენი შემოკლებით.

მეთაური აღნიშნავს, რომ საბჭოთა დელეგატის განცხადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და იკითხება: «რა თქვა ს. ს. რ. კავშირმა უშიშროებასა, შეიარაღების შემცირებასა, ერების დამოუკიდებლობის უფლებებზე, გარანტიებზე, რომელიც უნდა ჰქონდეთ მათ გარედან ყოველი თავდასხმის წინააღმდეგ? ბ. ლიტვინოვის სიტყვები მოგვგონებენ იმ კეთილ მეცხვარეს, რომელმაც ბიტკნები მისთვის მიიბარა დასაცავად. ვნახოთ, რას შეიცავს ეს განცხადება? იგი ამბობს: «საქიროდ მიგვაჩნია, საერთო უშიშროებისა და შეიარაღების მაქსიმალურ შემცირების გაადვილებისათვის, გარკვეულ იქნას რაც შეიძლება სისწორით მცნება აგრესიის (თავდასხმის). რათა თავიდან ავიცილინოთ ყოველი საბაბი მის გასამართლებლად; ვალიარებთ, რომ ყოველს ერს თანაბარი უფლება აქვს დამოუკიდებლობისა, უშიშროებისა და თავის ტერიტორიის დაცვისა; განმკვალული ვართ, საერთო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის, სურვილით, რომ ყოველ ერს ჰქონდეს შეძლება განვითარდეს თავისუფლად იმ წესით და საშუალებით, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია, რომ დავიცვათ ერების სრული უშიშროება, მათი დამოუკიდებლობა და მათი ტერიტორიის ხელშეუხებლობა და აგრეთვე მათი უფლება თავდაცვისა თავდასხმის წინააღმდეგ; და აუცილებლად ვსთვლით, რომ საერთაშორისო ორგანიზმებს მიეცეთ საქიროდ ღირებულებები იმის გასარკვევად, თუ ვინაა თავდასხმელი...»

ესეთი მოსაზრებანი ნაკარნახევია კარგი საერთაშორისო ლიბერალიზმით. როცა საბჭოები აღიარებენ «ყველა ერის უფლებას თავისუფალ განვითარებისათვის» და აცხადებენ, «დავიცავთ სრულიად მათ უშიშროებას, დამოუკიდებლობას და ტერიტორიის ხელშეუხებლობას». ისინი ქადაგებენ ენევის საერთაშორისო კრებულის წინაშე უგონიერეს პოლიტიკას. და მალე ცამეტი წელიწადი უსრულდება, რომ 1920 წ. მაისის 7 კეთილშობილ მისწრაფებით განმკვალულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ ხელშეკრულება დასდვა საქართველოს მთავრობასთან.»

მეთაურს მოყავს ამ ხელშეკრულობის შესავალი, სადაც აღიარებულია ყველა ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა და განაგრძობს: «ყველა შენიშნავს—და გაუკვირდება კიდევ—რომ რუსეთი განაგრძობს ერთსა და იმავე საღს პოლიტიკას, ვინაიდგან ლიტვინოვის განცხადებაში იგივე პრინციპებია, რაც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაშია. დაწერილი ერთი მეორეს მისდევს და ერთი მეორეს ჰვავს. ხლო საქმენი? სამწუხაროთ, საქმეებმა გაუვალი უფსკრული გათხარეს 1920 წ. ხელშეკრულობასა და 1933 წ. განცხადებას შორის. 1921 წ. იანვრის დამლევს, როგორც ეს გაიხსენა პრფ. ედგარ მილკომ თავის შესანიშნავ წიგნში La Géorgie, la Russie et la S. d. N. «საბჭოთა რუსეთის ჯარები შეესიენ საქართველოს და ექვსი კვირის გამწარებული ბრძოლის შემდეგ სამმილიონიანი ხალხის მხრით, საქართველო გასრესეს და დაუმორჩილეს სამხედრო ოკუპაციას.»

რას ჰტიქრობს ს. ს. რ. კავშირი ასეთი საქმეების შესახებ? საკმარისია, მივმართოთ იმ განცხადების პრეფექტს, რომელიც ამ კავშირის სახელით წარმოადგინა ლიტვინოვმა. აი რას ვპოულობთ აქ: «აგრესორი (თავდასხმელი) იქნება ის სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს, ა) ან ომს გამოუცხადებს მეორე სახელმწიფოს, ბ) ან ომის გამოუცხადებლად შეიარაღებულ ძალებს შეუსევს მეორე სახელმწიფოს, გ) ან მისი სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო ჯარი შეგნებულად დაუშენს ყუმბარებს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას ან თავს დაესხმის უკანასკნელის გემებს თუ ჰაერობლანებს» და სს.

თავდასხმელია, ვინც ომის გამოუცხადებლად შეესევა მეორე სახელმწიფოსო. მაშასადამე როგორც 1933 წ. ს. ს. რ. კავშირის განცხადება გვეუბნება, 1921 წ. საქართველოსთან შეტაკებაში საბჭოები იყვნენ თავდასხმელი (აგრესორი). მაგრამ გვეტყვიან: შეიძლება რუსეთის საქართველოში შესევა გამოიწვია იქ მომხდარმა არეულობამ? ამის პასუხს ლიტვინოვი გვადლევს, როცა აცხადებს თავის დეკლარაციაში: «არ შეიძლება რომელსამე სახელმწიფოზე თავდასხმის გამართლება ამ სახელმწიფოს შინაური მდგომარეობით, მაგალითად რევოლუციონური თუ კონტრევოლუციონური მოძრაობით, სამოქალაქო ომით, ჯანყით ან გაფიცვებითო.»

ლიტვინოვის დეკლარაცია ჰგმობს მეტად მუყვარად და აშკარად იმ პოლიტიკას, რომელსაც მისდევდა ს. ს. რ. კავშირი 1921 წ. იანვრიდან საქართველოს მიმართ, იმ საქართველოს, რომელიც «მოითხოვდა განვითარებას საკუთარი წესების თანახმად და იცავდა თავის დამოუკიდებლობას და თავის ტერიტორიის ხელშეუხებლობას.»

### მცირე შენიშვნა ლილ საქითხვე

«დამ. საქ.» მე 85 ში მოთავსებულია ფრიად საინტერესო ანგარიში იმ მოხსენების შესახებ, რომელიც წაუკითხავს ბ. დ. ვაჩნაძეს.

მოხსენება გაუძარტავს «კავკ. შემსწავლელ სახ. კომიტეტს»; ეს მეტად სასარგებლო საზოგადოება ღირსია ყოველმხრივი დახმარების და თანამგრძობის. კავკასიის და იქ მობინადრე ერების ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულებათა, ყოფა ცხოვრების და მათი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა—სავალდებულოა ყველა ჩვენთაგანისთვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ბევრათ უფრო კარგათ ვიცნობთ ევროპას და ამერიკას, ვინემ ჩვენს მეზობელ ერებს. ამას, რასაკვირვლია, თავის მიზნები ჰქონდა, მაგრამ დღეს ეს ნაკლი შევსებულ უნდა იქნეს. კავკასიაში მობინადრე ერების ინტერესები ისე გადახლართულ-გადასკვნილია ერთმანეთზე, რომ მისი დახსნა და დალაგება მოითხოვს ამ ერების ზედმიწეონით ცოდნას. გარეშე ამ ცოდნისა და შესწავლისა ძნელია ერთიმეორის გაგება და ეს არ გავება კი ხშირად იწვევდა ხლომე გართულებას.

ემიგრაციაში ყველა ერებს ჰყავს ფრიად განსწავლული და მცოდნე პირები, თითქმის ყველა სფე-



როში, და მათი სისტემატიური მოხსენებები, ლექციები, საჯარო დისპუტები მთელ რიგ საკითხებზე, თუ გინდ ფრიად მწვავეზე, დიდად შეუწყობს ხელს გაუგებრობათა გარკვევას, ატმოსფერის გაწმენდას, ერთიმეორესთან დაახლოვებას და ასე მტკიცე საფუძველს ჩაუყრის კავკასიის სახელმწიფოთა კონფედერატიულ მენობას, რომელიც საუკეთესო ფორმად ჩამოხდინადრე ერების სახელმწიფოებრივი ურთიერთობის.

ასეთმა საჯარო დისპუტმა უკვე მოიტანა სარგებლობა. ესაა ჩვენი მეზობელი სომხების გამოსვლა ბ. ვახანაძის მოხსენებაზე.

უნდა ითქვას, რომ სომხების განცალკევებული პოლიტიკა აბრკოლებს კავკასიის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

რა თქმა უნდა, სომხების ასეთი პოზიცია არ იყო რაიმე უჩინაობით, თუ გულისტქმათა აყოლით გამოწვეული უწყველია. ამას თავის საპატიო მიზეზები ჰქონდა. როგორც მოხსენებელი ანგარიშიდან სჩანს, დღეს სომხები თითქოს თვითონაც ხედავენ შეკავშირების გარდაუვალობას. და ეს ისეთი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც სიამოვნებას და კმაყოფილებას გამოიწვევს კავკასიის ყველა ერების პოლიტიკურ წრეებში.

სომხების ასეთი პოზიცია გვევალეებს დანარჩენ კავკასელებს. სომხები მართლაც რომ განსაკუთრებულ მძიმე პირობებშია და ამ პირობების ცნობა, აღიარება და აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება ჩვენთვისაც საგაღდეგულოა. სომხები, და განა მართლ სომხები, საერთოდ, კონფედერაციის მომავალი ყველა წევრი, უნდა გრძობდეს, რომ გაქვირებაში მას დაეხმარებინან; ხელს წამოაპკრავენ, წაქცეულს წამოაყენებენ, წელში გამართვის საშვალებას მისცემენ. ძმა ძმისთვის შავი დღისთვის—უთქვამთ. თუ რომ ასეთი რწმენა და იმედი არ იქნება—ცხადია ყოველგვარი ფორმა გაერთიანებისა უბრალოდ პარაკათ იქცევა და ის ვერც ვისმე გაიტაცებს.

ამ მხრით უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებაზე დამსწრენი ვერ შეხვდენ სათანადო თანამგრძობობით. ალ. ხატისაგვის თხოვნას ერთი მათთვის მეტად მძიმე ტვირთის შემსუბუქების საქმეში. კითხვა ეგებოდა გადმოხვეწილებს. მართლაც, ამაზე დიდი უბედურება იშვიათად დაატყდება ხოლმე ერს. აყარეს დასახლებული ადგილებიდან მილიონ ნახევარი ხალხი და მიუტოვეს მოძმე ერს, რომელთა რიცხვი 800.000 ძლივს აღემატება, თვით გაქვირებულია. არ აქვს გასაქანი, არც საკმარისი მიწა წყალი და არც სათანადო სიმდიდრე. ამ უბედურებაში და აქედან გამოსავალის ძებნაში მთელი ჩვენი თანამგრძობობა მათ მხარეზეა და რამდენადაც კი შეგვიძლია უნდა ეს მძიმე მდგომარეობა შეუშუსუბუქოთ. სრულიად მართალი იყო ბ. ხატისოვი, როცა ამბობდა, რომ თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, სომხეთი ვერ იქნება ღირსეული წევრი კონფედერაციისა.

ბ. ჯამალიანი პირდაპირ აცხადებდა, რომ თუ სომხობა დარწმუნებული იქნება თავის მეზობლების ძმურ თანამგრძობობაში იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომელიც მას თავს დაატყდა ისტორიულ

ლი ამბებით, მე დარწმუნებული ვარ. კავკასიის ერები სავსებით დაუბრუნდებიან იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელზედაც მომხსენებელმა მოგვიხსროლა.

ასეთი მეზობლური თანამგრძობობა უთუთო ეკუთვნის სომხებს და უნდა ექნეს კიდევ. ამაში სომხობა სრული დარწმუნებული უნდა იყოს და თუ ამის რწმუნება ვერ მიიღეს აღნიშნულ მოხსენებაზე კამათის დროს, ეს უნდა ჩაითვალოს ამ საინტერესო კამათის დიდ ნაკლათ.

ვიმეორებ, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ საჯარო მოხსენება-კამათს. სასურველია ხშირად გამოართოს საჯარო დისპუტები და საერთო აზრთა გაცვლა-გაორკვლით თავიდან აშორებულ იქნას შესაძლებელი გაუგებრობანი და ასე გზა გავიკაფოთ იმ მომავალი მუშაობასაკენ, რომელიც მოგვიხსნება კავკასიის კონფედერაციის დროს, და ეს ხომ, როგორც სჩანს, მისაღებია ყველა ერებისათვის..

გ. ურბაძე.

**5 მ ა რ ტ ი**

გეშანიის სღვთაღ და პლიტიკურ ისტორიის ახალი დატა.

არ გამართლდა ჩემს წინა წერილში გამოთქმული აზრი. ჩემი პროგნოზი: პიტლერ-პაპენ ჰუგენბერგის მთავრობამ და «პარტიურგის ფრონტმა» როგორც რაისსტაგის, ისე პრუსიის ლანტაგის არჩევნებში 52.5 პროც.-იანი უმრავლესობა მიიღო.— არჩევნებში, რომელშიდაც სხვადასხვა პარტიებს 39.316.873 ქალმა და კაცმა მისცა ხმა—ი. ი. 88 პროც. და, მკონი, ამ პროგნოზს ასეთი ამბავი არ მოუვიდოდა და ეხლანდელი მთავრობაც გრძელ არსებობისათვის ასეთ უმრავლესობას ვერ მიიღებდა, რომ ძალა უფლების ხელში ჩაგდებასთან და სახელმწიფო აპარატის უჩვეულო გამოყენებასთან ერთად, მას, რაისსტაგის დაწვის ცნობილ ისტორიის შემდეგ, საშვალება არ მოესპო ოპოზიციურ პარტიებისათვის არჩევნებში თავისუფალ მონაწილეობის მიღებისა.

ამის უტყუარი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ყოველგვარ შეზღუდვისა (დაიკეტა ყველა ყურნალ-გაზეთები მარქსისტულ მიმართულებისა, აკრძალულ იქნა მათი საარჩევლო კრებები და საპროპაგანდო პლაკატების გავრცობა,—სახოგადოდ ავიტაცია), გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიამ მიიღო 7.176.505 ხმა—ი. ი. 70.000 მხოლოდ ნაკლები იმაზე, რაც მან წ ნოემბერს 1932 წელს შეპკრიბა,—და ცენტრმა. უფრო ნაკლებ თავისუფლება წართმეულმა—4.423.161 ხმა.—ი. ი. თითქმის 200.000 მეტი იმაზე, რაც მან წ ნოემბერს მიიღო.

არჩევნებებრივ გამარჯვებას, რომელიც პიტლერ-პაპენ-ჰუგენბერგის,—დიქტატურა—მონარქისტების ბლოკმა—მოიპოვა, ძლიერ შეუწყო ხელი აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰინდენბურგის სახლის და ავტორიტეტის გამოყენებამ:—საარჩევნო პლაკატებზე ხშირად შეხვდებოდით პიტლერისა და ფელდმარშალის სურათებსაც ერთად..

და ამგვარად მოხდა შემდეგი: გარეგნულად «დე-მოკრატიის და მისი «წესების» საშვავლებით», არჩევნებში 4 მილიონზე მეტ ახალ ამრჩევლების მონაწილეობის მიღებით და 1.200.000 კომუნისტურ ხმების მისკენ გადასვლით, პიტლერმა მიიღო 17.265.823 ხმა, ხოლო გერმანულ ეროვნულ პარტიამ 3.132.595. ე. ი. ორივემ თითქმის 70 მილიონ ნახევარი.—სხვა პატარა შემარჯვენე ჯგუფებთან ერთად კი ორივე პარტიამ მიიღო 21 მილიონზე მეტი.

5 მარტს დროშების ფრიალით, მუსიკით, ჰიმნის სიმღერით და აღფრთოვანებულ სიტყვებით დაიწყო არსებობა «მესამე იმპერიამ».—დაიწყო მეფობა გამარჯვებულმა დიქტატურამ...

დახურულია ყველა სოციალისტური, კომუნისტური, და ცენტრ-დემოკრატების მრავალი პერიოდული გამოცემანი, აკრძალულია პოლიტიკური კრებები ოდნავდაც ოპონიციონურად განწყობილ ორგანიზაციათა, ყველა სახელმწიფო და მრავალ საზოგადო დაწესებულებებზე ფრიალებს ნაციონალ-სოციალისტების და გერმანიის ეროვნულ პარტიის დროშები.

პროფესიონალურ კავშირების სახლები ხშირ ჩხრეკას და რბევას განიცდიან,—სოციალდემოკრატიული პარტია—რესპუბლიკის შემქნელი და დამცველი—ანარქისტულად არის გამოცხადებული.

უცხოელ ვაზეთების კორესპოდენტებს, რომელნიც ისე არ სწერენ, როგორც მთავრობის ცნობაშია, აძევებენ, ან გაძევებით ემუქრებიან.

ფართო ხასიათი მიიღო ანტისემიტურმა გამოსვლებმა: ბევრადგილას შტურმის ნაწილებმა ძალით დაჰკეტეს და დაარბიეს ურიების საჯაროები...

და დღევანდელი ძალა-უფლების მატარებელნი აცხადებენ: გრძელი გზა განვლეთ გამარჯვებით, ეხლა დაგვრჩენია უკანასკნელი—მოკლე გზა—ბრანდენბურგის კარებიდან სასახლემდე—ო, —ე. ი. მონარქიის რესტავრაცია.

1932 წლის ივნისიდან მეთათვე მიდის: იყო პაპენი, რომელსაც გზა და ხიდი პიტლერმა მოუშადა, თავის მხრივ გზის მომზადების დაპირებისათვის, იყო შლაისერი, რომელმაც პაპენი გადაადგო, რადგან ის ამ დაპირების წინამდებელი იყო და თვით უნდოდა როლის თამაში (დიდი ხანი უცდადა ის შესაფერ მომენტს), მოვიდა ისევ პაპენი ესლა პიტლერით და ორივემ ჰინდენბურგთან შეთანხმებით გადაადგდეს შლაისერი. პიტლერმა ძალა-უფლება ჩაიბარა:—პაპენმა თავისი დაპირება აასრულა. აღსდგა პარტბურგის ფორტი ნაციონალ-სოციალისტების ჰეგემონიით... მომარქიისათვის?!

ეს არის ნაციონალ-სოციალიზმი და «მესამე იმპერიის შინაარსი!... და სად არის დამნაშავე? ვინ არის ნამდვილი მომხადებელი ფაშისმის გამარჯვების, დიქტატურის ტრიუმფის?!... ყველამ იცის, ყველა ხედავს:—კომუნისში, მოსკოვი, მესამე ინტერნაციონალი;—მათ გაუხსნეს ყველგან საშინელ რეაქციას კარები: იტილიაში, უნგრეთში, ესლა გერმინიაში და სხვაგან,—მათ გადაიყოლეს თან დემოკრატია თავისუფალ ქვეყნებში და დალუპეს ესლა გერმანიის რესპუბლიკა...

5 მარტს გერმანელმა ხალხმა თივის ბედი ჰიტლერს ჩააბარა...

მალე ახალი რაიხსტაგი შეიკრიბება პოტსდამის «გარნიზონის ეკლესიაში», რომ ტრიუმფატორს 52,5 პროც. უმრავლესობით ყველაფერი აუსრულდეს, რაც მას უნდა...

და ტრაგიზმით სავსეა სიტყვები გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის მიმართვისა, რომელიც ის მადლობას უხდის თავის ამრჩევლებს 5 მარტისთვის: «დღევანდელ ბატონებმა მოიპოვეს უმრავლესობა იმპერიისში და პრუსიისში. ისინი მოიწვია პრეზიდენტმა და «დამტკიცა» ხალხმა... ამ გამარჯვებით მთავრობის პარტიებს ეძლევა საშუალება მართონ ქვეყანა წმინდა კონსტიტუციური გზით. მაგრამ თუ სხვა გზა აირჩიეს დღეს გამაჯგუფებულმა. მაშინ მთელი პასუხისმგებლობაც მათ დააწვება თავზე და დიდხანს მის ტარებას ისინი ვერ შესძლებენ».—სოციალდემოკრატია შეურყევლად სდგას თავის პოზიციებზე...

და ამ დროს ვაიმარის კონსტიტუცია აღარ მოქმედებს:—თავისუფლება აღარ არსებობს, ადგილობრივი მთავრობები გადაყენებულია ფაქტიურად (ბავარიაშიც კი) და მათ მაგივრად სახელმწიფო კომისრები დაინიშნული... აფსუსს, ებერტის გერმანია!

მ.—ანი.

### ჩაღიღო-კავკასიელთა შორის

გამოვიდა კავკასიის მთიელთა სახალხო პარტიის ორგანო «გორცი კავკაზა» ამა წლის იანვარ თებერვლის ნუმერი. ამდენხანს კურნალი რუსულად იბეჭდებოდა, ამიერიდან კი გამოვა ორ ენაზე—რუსულსა და თურქულზე. რედაქცია ასე განმარტავს ამ ცვლილებას: «თურქული აღმოსავლეთი, ან ის აღმოსავლეთი, სადაც თურქეთის გავლენა ყოველთვის დიდი იყო, ჩვენ გვეახლოვება არა მარტო სულიერად. ჩვენს მთიელთა შორის თურქული ელემენტი საკმაოდ საგრძნობ ნაწილს შეადგენს. თურქთა მილიონები ერთად არიან «პრომეთეს» ერებთან განმათავისუფლებელ ბრძოლაში. თურქეთი ჩვენი უშუალო მეზობელია, რომელთანაც კავშირებულნი ვართ მრავალნაირად და რომელიც მუდამ დაინტერესებული იყო ჩვენი ბედით. ბოლოს ოტომანთა ძველი იმპერიის ფარგლებში მრავალმა ასი ათასმა ჩვენმა ძმამ და დამ ჰპოვა თავშესაფარი, რომელთაც უღმობელმა და სისხლიანმა მტერმა წაართვა სამშობლო, ადამიანისთვის ყველაფრის უძვირფასესი. სულიერი და ხორციელი ნათესავობის უხილავი ძაფები გვგართებენ მათთან, თუმცა დიდი ხანია ერთმანეთს დამორებულნი ვართ. ჩვენი ვალია ეს კავშირი კიდევ უფრო გავამაგროთ. ჩვენი საშუალებით ისინი უფრო ძლიერ იგრძნობენ თავის ძველი სამშობლოს სუნთქვას, რომელიც მოუწოდებს წინანდელ ადგილებზე დასაბრუნებლად. ამას ვარდა იმათი შემწეობით ჩვენ შეძლება მოგვეცემა, ჩვენი აზრები მოვფინოთ მთელ მუსულმანურ აღმოსავლეთ-



ში. ჩვენი ბუნებრივი კავშირი ამ აღმოსავლეთთან შეიქნება უფრო მტკიცე და გონივრული.

ამ № ში სხვათა შორის დახატულია კავკასიის ქარტა, სადაც ჩრდილო-კავკასიელთა ანუ «ჩერქეზეზის» (circassians), როგორც რედაქცია ნათლავს საერთო სახელით ყველა ჩრდილო-კავკასიელს, ბინადრობის სამხრეთი საზღვარი ისეა შემოხაზული, რომ შიგ შედის მთელი აფხაზეთი და სამეგრელოს ნაწილი ანაკლიამდე, ცხინვალის რაიონი და საინგილო.

### უკრაინელთა შორის

რამდენიმე თვეა ინგლისში გამოდის ყურნალი «ინვესტიგატორ» უკრაინელთა ინტერესების დასაცავად. უცხოეთის უკრაინული პრესა გამოხეხმაურა ამ მოვლენას და სიამოვნებით აღნიშნა, რომ ინგლისელები ასე ყურადღებით ეპყრობიან უკრაინას, ხოლო კვდომს, რომ პრობაგანდას უკეთებენ ყოფილ გეტმანს სკოროპადსკის. ლეოვის «დილო» სწერს: სკოროპადსკიმ უღალატა უკრაინის დამოუკიდებლობას და მისი მომხრეები არავინ უნდა მიიჩნიოს ეროვნულ გამირებად. შეერთებულ შტატებში მყოფ უკრაინელ ემიგრანტების ორგანოს «სემოდანს» სიტყვით, სკოროპადსკი იყო მთლიანი და განუყოფელი რუსეთის დამცველი. უკრაინელთა მთავარი ორგანიზაციის კვირეული «ტრეზუბეც» ვრცელ წერილს უძღვნის ინგლისურ ყურნალს და მის სკოროპადსკის ფილოზოფიას და ამბობს: ბოლშევიკებმა კი არ ჩამოაგდეს სკოროპადსკი, არამედ უკრაინელმა მამული-შვილებმა პეტლურას მეთაურობით; სკოროპადსკი თუმცა თავში გარეგნულად დამოუკიდებლობას იცავდა, მაგრამ მერე რუსეთთან დაკავშირებას მიემხრო, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია უკრაინაში. «ტრეზუბეცს» სკოროპადსკის ეხლანდელი მოქმედება მიჩნია მაგნებლად უკრაინულ განმათავისუფლებელ მოძრაობის მთლიანობისთვის.

— ბოლო დროს პოლონეთში დიდი ინტერესი დაიბადა უკრაინელების მიმართ და პოლონურ გაზეთებში ხშირად იბეჭდება წერილები უკრაინის შესახებ. დაარსდა პოლონურ-უკრაინული თვიური ბიულეტენი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პოლონელთა და უკრაინელთა დაახლოვებას. ამას წინადა ბიულეტენში დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის და საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრის ვასილევსკის წერილი, რომელიც იხილავს ზომებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ამ ორ ერის დაახლოვება.

— მარტში ბრიუსელში შესდგა ნაციონალური დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ყრილობა, რომელიც, სხვათა შორის, შეიქმნა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტს, და რეზოლუცია გამოიტანა იაპონიის საწინამდევლო. კენჭის ყრის დროს უკრაინის წარმომადგენელმა შულგინმა თავი შეიკავა და თავისი საქციელი ასე დაასაბუთა: «მე არა ვარ მშვიდობიანობის ნაკლები მოყვარე, ვიდრე ისინი, რომელთაც ხმა მისცეს რეზოლუციას, ხოლო სანამ გაპიციხავდნენ იაპონიის მოქმედებას მანჯურიაში, გაპიციხეს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაცია მოწველეთი-

სა, ან მისი შესევა იმავე მანჯურიაში 1929 წელს? ან ძალით «გასაბჭოებთ» ჩინეთის დიდი ნაწილისა, რომლის შეერთება უნდა რუსეთს? ან ამოიღეს ხმა საბჭოთა კავშირის წინამდევ, როდესაც გააუქმა დამოუკიდებლობა და შეიერთა უკრაინა, საქართველო, აფერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია და მრავალი სხვა თავისუფალი რესპუბლიკა? ვანა ვინმე აღძრა რომდისმე საკითხი ზომების მიღებისა ამ მუდმივი თავდამსხმელის—რუსეთის—წინამდევ? არა. და პირიქით მსაჯულადაც კი მიიწვიეს ის სახელმწიფო, რომელიც ამ 15 წლის განმავლობაში მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ მშვიდობიანობას არღვევს ყველგან და კერძოთ თვით ჩინეთშიაც...»

— დიდი ხანია უკრაინელები მოითხოვდნენ, რომ პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში დიდ მარხვის პირველ კვირას არ მომხდარიყო მახეპას დაწყება (ანათება). სინოდი, რომელიც რუსების ხელშია, მუდამ უარს ეუბნებოდა უკრაინელებს. მაგრამ ბოლოს დროს სინოდს მაინც დაუდგენია მახეპის დაწყების გაუქმება.

### შერილი ამერიკიდან

ზოგიერთ აქაურ ყურნალ-გაზეთებმა სახალწლო წერილები უძღვნეს რუსეთის მდგომარეობას, განსაკუთრებით ხუთწლედს. ამერიკის პრესას კარგი ცნობები აქვს რუსეთზე იქიდან გამოქვეყნებულ ამერიკელ ინჟინერ-ტექნიკოსების წყალობით. მოსკოვის მესვეურებს ვერ არ დაჰკარგვიათ ილუზიები, რომ ამერიკელები აუშენებენ ოჯახს, როგორც ეკატერინეს ჰქონდა ასეთი იმედები რუსეთის კოლონიზაციის გერმანელების მიერ. მოსკოველებმა დიდი შეღავათები მისცეს ამერიკელ ტექნიკოსებს, ოღონდ წასულიყვნენ იქ. ზოგიერთი დიდი ენტუზიაზმით წავიდა, ეგონათ ფართო ასპარეზი მოელოდათ. ნახავდნენ ქვეყანას, სადაც ეკონომიური პრობლემების კვანძი გახსნილი იყო და აბსოლუტური თავისუფლება დამყარებული. ემდუროდნენ თავის ქვეყნის ინდივიდუალურ წესწყობილებასა. მაგრამ რუსეთის მმართველების ბიუროკრატიზმმა, პარტიულ უფროსებმა და კომიტეტებმა, გაუწვრილეს მათ თავსაქანი არ მისცეს. კაცის პიროვნების გათვლით და საძაგლად დაცინვით აღშფოთებულნი და ილიუზიებ-დაკარგულნი ბრუნდებიან უკან და აქ ათავსებენ ყურნალ-გაზეთებში თავის თავგადასავალს. ეს წერილები ნამდვილი ცნობებია იმ პირობისა, ვინც იმუშავებს რუსეთის სინამდვილეში და არა ისეთი ტურისტების, როგორც ბერნარდ შოუა. ვისაც განსაკუთრებულ მიჩენილ კომუნიზმებმა მხოლოდ წინა კარები დაანახვეს და არა გავრცელი ენო რუსეთის სინამდვილისა (როგორც ამერიკელები იტყვიან). ეს წერილები არ გვანან არც იმ კორესპონდენტების ბარათებს, რომლებიც მოსკოვიდან იწვრიბიან, რომელთაც სათქმელი ბევრი აქვთ, მაგრამ პირი სავსე აქვთ წყლით...

ნიუორკის «ტაიმსმა» სახალწლო მოწინავე წერილი უძღვნა «ხუთწლედის» გაკოტრებას. «ტაიმსა»

ამბობს: «ალბათ მოსკოვი ფორმალურად ყურადღებ-  
ბას არ მიიქცევს ოფიციალურად გათავებულ თავის  
გამოჩენილ ხუთწლიან გეგმას, რომლის ვადა გა-  
თავდა პირველ იანვარს. ის იყო დაწყებული I ოკ-  
ტომბერს 1928 წ. და უნდა გათავებულიყო I ოკტო-  
მბერს 1933 წელს, მაგრამ პირველი ორი წლის შედეგ-  
ებმა თითქოს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ  
გეგმა გადაშინჯული იქნა, კვლავ აწეული და მთელი  
გეგმა უნდა გათავებულიყო ოთხ წელში. მეგრე სამი  
თვეც მიუმატეს და ვითომ ამ იანვარს გაათავეს...»

«მაგრამ უკანასკნელ წელიწად ნარჩევარმა ოცნე-  
ბები გაუტრუა ბოლშევიკებს—დანინშულს ვერც კი  
დაუხლოვდნენ. უფრო მნიშვნელოვან ინდუსტრიის  
დარგში, მაგალითად რკინა და ფოლადი წმ პროცენ-  
ტზე ნაკლები იყო დამუშავებული. და ახლა, ამბობს  
«ტაიმისი», «საერთოდ გამოტყდნენ მოსკოვის მდელ-  
ბელები, რომ ნამეტანი ჩქარი ნაბიჯით იყო წარმოე-  
ბული რუსეთის ინდუსტრიალიზაცია. არაფერი გვე-  
სმის მეორე ხუთი წლის გეგმაზე, რომელიც უნდა  
მოყოლოდა პირველს. ალბათ მომავალი წელი დაე-  
თმობა ძველი გეგმის გათავებას და გაწმენდას. მეგრე?  
მეგრე იფიქრებენ, რა გააკეთონ».

მაგრამ «ტაიმისი» აზრით, მოსკოვის უბედურება  
მხოლოდ ხუთწლიანი გეგმის დამარცხებაში არაა.  
იქ არის მეტად სერიოზული საშიში მდგომარეობა  
შექმნილი სურსათის ნაკლებობით. მთელი ქვეყანა  
ომის დროის რაციონზეა და რაც უფრო აძნელებს  
სტალინის მთავრობის მდგომარეობას—ეს შიმშილი  
არ მოსულა რუსეთზე ღმერთის წყალობით, არამედ  
კაცის მიერ მოვლენილია. იქ არ ყოფილა გვალვა,  
პირიქით ცნობებია, რომ საუკეთესო სათესი ამინ-  
დები იყო. შიმშილობა გამოწვეულია გლეხობის  
საერთო გაფიცვით, მმართველების უხეში მეთოდ-  
ების გამო».

«გრიგანტურ ქარხნებ-ფაბრიკების აშენება არა-  
ფერს ნიშნავს. უნდა მოუცადოთ და ვნახათ,—მეუ-  
ძლია თუ არა რუსის მუშას მათი ხმარება, აქვს თუ  
არა ამის უნარი და ცოდნა, ან, საერთოდ, უნდა თუ  
არა მათზე მუშაობა, რაცა დღევანდელი რუსეთის  
მუშის ენერჯია და გონება მიმართულია პურის სა-  
ძებნათ».

დღეს ათავება ვახეთი. X.

**რას სწავიან ზოლუხვიკაზე**

ავსტრიის სოც. დემოკრ. «კამპუ»ის თებერვლის  
№-ში დაიბეჭდა კ. კაუცკის წერილი დიქტატურის  
და დემოკრატიის შესახებ, რომელიც საუცხოვოდ  
არჩვევს და ახასიათებს ბოლშევიზმს. ვფიქრობთ, რომ  
ქართველ მკითხველს მალე შეეძლება ექნება ვრცლად  
გაეცნოს ამ წერილს. აქ მოვიყვანებ მხოლოდ ერთს  
დამახასიათებელს ადგილს: «ძირითადი ამოცანა,  
რომელსაც ესწრადვიან დღეს ყველა ქვეყნის კომუ-  
ნისტები, არის არა კაპიტალიზმის მოსპობა, არამედ  
მოსპობა დემოკრატიისა. თავის პოლიტიკით ისინი  
გზას უკაფავენ რეაქციას. მთელი ხუთწლიანი

ემყარებოდა, რომ კომუნისტები სინარულით მიაწე-  
დებდნენ საბჭოთა რუსეთის წარმოებას გაუმჯობესე-  
ბულ იარაღებს და ეს იმედი კომუნისტებს არ გაუ-  
ცრუვდათ. კაპიტალისტებს არ ეშინიათ საბჭოთა  
რუსეთის არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად.  
კომუნისტებმა არა მცირედად შეუწყვეს ხელი მუ-  
სოლინის გამარჯვებას, აგრეთვე პიტლერისას. საფე-  
რანგეთისა და სხვე პარლამენტში ბევრი რეაქციო-  
ნერი დეპუტატი კომუნისტების დახმარებითაა გა-  
ყვანილი. დიდი ომის შემდეგ კომუნისტებმა უმძი-  
მესი ვნება მიაყენეს მუშათა კლასს იმით, რომ განხე-  
თქილება შეიტანეს მის რიგებში».

და კაუცკი დარწმუნებულია, რომ ვიდრე არ და-  
ემხობა მოსკოვის დიქტატურა, მანამდე არ მოხდება  
მუშათა ერთი ფორტის აღდგენა.

**საკზინის ძაბთველთა შორის**

27 წარსულ იანვარს ხარბინის ქართველთა სახლ-  
გადღებამ იდღესასწაულა წმ ნინოს დღე, რომელ-  
საც დაესწრა მთელი ადგილობრივი ქართველობა.  
საზოგადოების დარბაზში გადახდილ იქნა მოვლენა,  
რომელსაც მღვდელმა წინ წაუშდგარა ლამაზი სიტ-  
ყვა წმ. ნინოს შესახებ. მოვლენის შემდეგ გამგებობის  
თავმჯდომარემ უქიმაა ჯიშკარიანმა წარმოსთქვა  
მოკლე სიტყვა, რომელშიაც მიულოცა ქართველებს  
ღღესასწაული. ამას მოჰყვა კირ. კეიდიას მოხსე-  
ნება წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ. მომღერალმა  
გუნდმა ბნი კეიდიას ლოტბარობით მშვენიერად  
შეასრულა ქართული ერთგული ჰიმნი და «მრავალ  
ყამიერ». ღრმა შთაბეჭდილება მოხდინა მაყურებ-  
ლებზე ექვსი წლის ბავშვა ცუგა კიკნაქემ. მან მუხლ  
მოდევით წაიკითხა, ერთგული გონივრით და მის-  
წრაფებებით აღსაყვ, მშვენიერი ლექსი «მეუფეო»  
ამ სურათმა და ლექსის რეტატურმა წაიკითხამ ბევ-  
რი მაყურებელთაგანი აატრია. დასასრულ მომღერა-  
ლმა გუნდმა მწყობრათ შეასრულა რამდენიმე ქარ-  
თული სიმღერა.

მეორე დღეს «კომსობის» დიდ დარბაზში გაიმა-  
რთა დიდი ბალი, რომელიც, როგორც ადგილობრი-  
ვი განეთები გადმოგვეცემნ. იშვიათად კარგად იყო  
დაწყობილი და რომელიცაც გარდა ქართველებისა  
დაესწრენ მრავალი უცხონი დიპლომატიურ, საად-  
მინისტრაციო და საკომერციო წრეებიდან. სხვათა  
შორის იყვენენ კონსულები პოლონეთის, დანიის, ლი-  
ტვის, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მთავარი  
კონტროლიორი ლუცე-ყუნ და სხვ.

დარბაზი ლამაზად იყო მოართული, ამშვენებდა  
ქართული კიოსკები. ქართველი ბევრი იყო გამოწ-  
ყობილი ერთგულმა ტანთსამოსში, რაიც ორიგინა-  
ლურ იერს აძლევდა ბალს. საერთო ყურადღებას  
იპყრობდა ქართული ხალხი, ხალხი განსაკუთრებულ-  
ი შთაბეჭდილება მოახდინა ცოცხალმა ისტორიუ-  
ლმა სურათმა «რუსთაველი რომ ვეფხისტყაოსანს  
მიათმევს თამარ მეფეს». აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი  
გავლენიანი ვახეთი «ხარბინსკოე ვრემია» (რუსულად გამოდის,

მაგრამ სცემენ იაპონლები), როგორც სხვა რუსეთის ერებს, ქართველებსაც სისტემატიურად უთმობს ადგილს და ბეჭდავს ცნობებს. მაგ. 26 იანვრის ნომერში დაბეჭდილია წმ. ნინოს ცხოვრება და მოკლე მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა (თამარის და შოთას სურათებით).

ჩვენი რედაქცია გულითად სალამს მიუძღვნის შორეულ აღმოსავლეთში გარდახვეწილ ძმებს. ჩვენ ყოველთვის ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს მათ ცხოვრებას, მუშაობას, წარმატებას. გვიხარია რომ იქაური ქართველობა მუდამ მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ ქართველ ერთან, მხნედ იცავს თავის ეროვნებას და ღრმა რწმენით შეპყურებს საქართველოს მომავალ ადღვენას.

### ძართველთა კოლონიასში

19 მარტს შესდგა ქართველთა კალონიის საზოგადო კრება ბ. ყურთლის თავმჯდომარეობით. ბ. მანველიშვილმა წაიკითხა მოხსენება «დაღესტანის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ», მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო და საზოგადოებამ ტაშისცემით დააჯილდოვა. ვინაიდან ეს კრება იყო წლიური კრება გამგეობის სახელით ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება გამგეობის მოღვაწეობის შესახებ. —

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაცია წარმოადგენს თვითმომკმედ დაწესებულებას, — მთელი საქმიანობა როგორც ნივთიერ, ისე კულტურულ დარგში დამყარებულია თვით ასოციაციის წევრებზე და გამგეობა არის მხოლოდ გამგე და მიმმართველი იმ მუშაობისა, რომელიც წევრთა შორის დაიწყება. თუ ამ თვალსაზრისით საქითხს მიუდგებით, სამწუხაროთ უნდა აღვიაროთ, რომ ასოციაციის წევრები ამ მიზანს ხელს ვერ უწყობდნენ. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საწევრო გადასახადი, რაც წევრთა უფლებასა და მოვალეობას განსაზღვრავს. შემოიტანა მთელე წლისათვის მხოლოდ — 11 კაცმა და ნაწილობრივ კი მხოლოდ 40-მა. სულ მთელი საწევრო გადასახადი შემოსულია მხოლოდ 610 ფრანკი. მიუხედავად ამისა, რომ გამგეობამ არა ერთჯერ სთხოვა საზოგადოებას, მოეხადა თავისი საწევრო მოვალეობა, ამის შესახებ მოწოდებაც კი დაბეჭდა; — ხემოაღნიშნული თანხის მეტი გამგეობამ ვერ შეაგროვა.

რასაკვირველია, ხემოაღნიშნული თანხით მკვიდრი რაიმეს გაკეთება შეუძლებელი იყო, ამიტომ გამგეობამ მიმართა მეორე საშვალეობას — აღმოეჩინა დახმარებისთვის მუდმივი წყარო და ამ მიზნით საზოგადო კრების თანხმობითაც მიმართა საქართველოს ეროვნულ მთავრობას იმ მუშაობის გეგმის წარდგენით, რომელიც გამგეობას განზრახული ჰქონდა გაეგრძელებინა. მთავრობისაგან გამგეობამ მიიღო პასუხად, რომ უსახსრობის გამო მთავრობას საშვალეობა არ აქვს ასოციაციას დახმარება გაუწიოს. მანსადაძმე, გამგეობას თითქმის არავითარი ნივთიერი სახსარი არ ჰქონდა დასახული გეგმა

ცხოვრებაში გაეტარებინა. მაგრამ იგი შეძლებისდაგვარად მაინც შეეცადა, რაიმე გაეკეთებინა. ცხადია, ფულის შოვნისთვის საქირა იყო სადამოს ანუ ბაზის გამართვა, მაგრამ შექმნილი ტრადიციის ძალით ასეთ სადამოებს ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება მართავს და გამგეობას არ სურდა ამავ ასპარეზე მუშაობა გაეწია, — მით უმეტეს, რომ სამისო თანხები, რაც გამგეობას არ გააჩნდა, ძნელი საშოვნელი განდა. ამგვარად, გამგეობამ თავისი მოღვაწეობისათვის ყურადღება გადაიტანა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე. ამ მხრივ კი გამგეობის წინაშე ორი ამოცანა იდგა: 1) გამართა მოხსენებები საერთო ხასიათის ყველა სათვის, 2) მოეწყო ბავშვებისათვის სკოლა და 3) ახალგაზდობისათვის ლექციები სამშობლოს ისტორიასა და ლიტერატურაზე. გეგმა ფართო იყო და გამგეობას სურდა მოეწყო სამკითხველო, გაეხსნა კურსები საქართველოს და კავკასიის შესწავლისათვის, მოეგვარებია საექიმო დახმარება და სხვ. მთელი ეს მუშაობა დაკავშირებული იყო ბინის მოპოვებასთან, რაც დაპირებათა მიუხედავად, სამწუხაროდ არ მოხერხდა. ამ მიმე დაბრკოლებას თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, გამგეობა მაინც შეეცადა ამ კულტურულ დარგში მუშაობა მოეწესრიგებია. რასაკვირველია, შედეგებისდაგვარად, გასული წლის განმავლობაში მოაწყო 14 მოხსენება და გამართა აგრეთვე საბავშვო დღე, — რომელშიდაც თვით ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას. დაარსებულ იქნა ფრანგული ენის უფასო კურსები, გამგეობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დაეარსებინა ქართული სკოლა ბავშვებისათვის და ამ მიზნით სხვადასხვა პირებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაგრამ უბინაობამ ერთი მხრივ, ბავშვების განუყოფლობამ მთელ პარიზის არეზე, ფართოდ სკოლის დაყენება შეუძლებელი შეიქნა, — ამიტომ გამგეობამ მოაწყო მეცადინეობა მხოლოდ ერთი ჯგუფის, რომელიც სწარმოებდა ქართველ კათოლიკეთა ბიბლიოთეკაში გამგეობის წევრის ბ. ხარისქირაშვილის ხელმძღვანელობით.

გამგეობამ მოაწყო წლის თავზე პანაშვიდი და ოკტომბრის 15-ს ძველის გახსნა ჩვენი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე და მონაწილეობა მიიღო ჩვენი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის პანაშვიდზე, სადაც ბ. ნმა გ. ყურთლმა სიტყვა წარმოთქვა.

ვინაიდან გამგეობას თითქმის არავითარი სახსარი არ გააჩნდა, ამიტომ მას არ შეეძლო მატერიალური დახმარების გაწევა გაუბრუნებულთათვის, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ასეთ მოვლენას ორჯერ ჰქონდა ადგილი.

მთელი წლის განმავლობაში შემოვიდა გამგეობის კასაში 3.000 ფრ. 10 სან. დაიხარჯა 3.028 ფ. 10 ს. დარჩა დაუფარავი 28 ფრანკი.

გამგეობა ცდილობდა აგრეთვე ამ კულტურული მუშაობით შეენელებინა ის მწვავე მდგომარეობა, რომელიც ჩვენს ემიგრაციაში იყო შექმნილი და მას ესლაც სჯერა, რომ თუ თვით საზოგადოება დაინტერესდება თვისი საქმით და ენერგიულად შეუდგება მას, დიდი თანხის უქონლადაც იქნება შესაძლე-



ბელი მუშაობის წარმოება და საერთო ინტერესები-სათვის მოქმედება. ჩვენ რამდენადაც შეგვეძლო ამ მიზნისაკენ ვაწარმოეთ ჩვენი მცირე მოღვაწეობა და ეხლა გამკეობა ეთწვეება საზოგადოებას იმ იმედით, რომ ახალი არჩევნები მოგვცემს უფრო ენერგიულ და მარჯვე გამგეობას. რომელიც საზოგადოების საქმეს წარმატებით გაუძღვება».

გამგეობის მოხსენების შემდეგ სარევიზიო კომისიის წარმომადგენელმა წაიკითხა თავისი დასკვნა გამგეობის მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა, რომ შექმნილ პირობებში გამგეობამ გააკეთა მაქსიმუმი, რისთვისაც იგი მადლობის ღირსიაო. კრებამ დამტკიცა ორივე მოხსენება და რამოდენჯერმე სთხოვა ბ. გ. ყურულს და გამგეობას კვლავ განეგრძოთ მომავალ წლისათვის მუშაობა, მაგრამ ბ. ყურულმა და გამგეობამ კატეგორიული უარი განაცხადეს და რჩენაზე და არჩევნები შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

ბ. ყურულმა შემოიტანა შეკითხვა შესახებ ხმების, რომელიც გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში, თითქმის მასში გამოჩნდა პოლიტიკურად არა წესიერად მომუშავენი და გამცემენი.

თავმჯდომარე იძლევა განმარტებას, რომ ამ საკითხებს არკვევენ სათანადო დაწესებულებანი და გამგეობაც მას ჯეროვანი ყურადღებით ადევნებს თვალყურს, რომ ქართველი საზოგადოების ინტერესები და ღირსება არ იქმნეს შებღალული.

N.

### ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ს ა მ მ მ ბ ი

(ქურონალ-გაზეთებიდან)

სოფ. მეტეხში (ქართლი) კომუნურება «პირველ ნაბიჯში» მოანგარიშეთ მსახურებდა ყოფ. გენერალი გ. მაზნიაშვილი. კომუნისტებმა იგი არასაიმედოთ სცენეს და მოხსნეს სამსახურიდან.

— ტფილისის საბაზრო კომიტეტში, რომელსაც სათავეში კომუნისტი მ. ცინცაძე, ს. ხვედელიძე, ახვლედიანი და დანელია უდგენ, აღმოაჩინეს ფულის გაფლანგვა და სხვა ასეთი კომბინაციები. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უპარტიო მუშაკები დასაჯა, ხოლო ზემო ნახსენები კომუნისტები გაამართლა და ისევ პარტიაში დასტოვა.

— მოსკოვმა საკავშირო მთავრობასთან ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუდმივი წარმომადგენელი გ. ვაშაძე გადააყენა და მის მაგიერ დანიშნა ა. ესაიანი.

— სახელგამმა გამოსცა ცნობილი ბელეტრისტის დაჯ. კლდიაშვილის მემუარები. ფასი 3 მან. და 50 კაპ.

— განზრახულია ქართულად გამოიცეს 36 სხვა და სხვა ნაშრომი ნ. მარისა და ი. მეზნანინოვის ივეტროლოლოგიის შესახებ.

### აქაკი წერეთლის იმუშლის გარდაცვალება

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მარტის 26 პარიზში გარდაიცვალა პოეტის აქაკი წერეთლის ღრმად მოხუცებული ქვრივი ნატალია განსვენებული დასაფლავეს სენტ-უენის სასაფლაოზე.

### ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო ს ა მ მ მ ბ ი

10 მარტს საქართველოს მეგობართა საზოგადოებამ, ქ.ბბ. ამირალ გეპრატის და მაგდა მიურატის მეთაურობით, პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზში გამართა ქართული ბალი. დამსწრენი, უმეტესთ ფრანგნი, ნასიამოვნები დარჩნენ. იყვნენ, როგორც ჩვეულებრივ, ქართულათ ჩაცმულნიც, მათ შორის ყურადღებას იპყრობდა ქ ბ მიურატისა, რომელსაც სპეციალურათ ამ საღამოსთვის შეუკერავს ქართული კაბა. ევროპიული ცეკვა ხშირათ წყდებოდა ქართულ და მთიურ ცეკვის საჩვენებლათ. ერთმა ქართველმა ხანჯლებზეც ითამაშა, რაიცა არ მოეწონათ დამსწრე ქართველებს. ერთი, ეს ცეკვა ქართული არ არის, მეორე, ვისთვის იყო საქირო ამ «ველურობის» ფრანგთათვის ჩვენება!

ბალი მოეწყო საქველმოქმედო მიზნით და, უეჭველია, მიიღწია მას ზედმიწევნით. შემოსავლის ერთი ნაწილი გადაეცემა ქართველ ქლეკიანთა საზოგადოებას, დანარჩენი მოხმარდება ქართველ მოსწავლე ახალგაზობას, გამომცემლობას და სხ.

### შ ა რ ი ლ ი კ ა ლ ა მ ც ი ის ვ ი მ ა რ თ

დიდათ პატივცემულ ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი ანგარიში «შობის ხისა», რომელიც გამართა 25 დეკემბერს 1932 წ. ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტმა.

- შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი :
- 1) ინგლისელ მეგობართაგან 800 ფრ.
  - 2) ამერიკიდან №. №. 400
  - 3) შესავალი ბილეთი 650-80 1850 ფრ. 80
- ი გ ე რ ა ს ა ვ ა ლ ი :
- 1) დარბაზი 300
  - 2) მუსიკა 150
  - 3) ასისიტანს პიუბლიკ 64-25
  - 4) სათამაშოები დახის მოწყობა 506-60
  - 5) უფასო ბუფეტი 468-50 1.489 ფრ. 35
- და რ ზ ა 361 ფრ. 45 სანტიმი.

ს რ თ უ ლ ის მ ა დ ლ ო ბ ი თ :  
კომიტეტის თავმჯდომარე ელ. აფხაზისა.  
მოლარე კლ. დევანდისა.

20 მარტი, 1933 წ.